საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 10 სექტემბერი, 2015 წელი.

№169 (7814)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ცოლების შოუ მამლის მესამე დაყივლებამდე....

არაადამიანური ამბიციებისა და სიცრუის ჭაობში ჩამხრჩვალი კომპანია „რუსთავი-2“ უტიფრად განაგრძობს საკუთარი მაყურებლის გამოთაყვანებას, „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის ლანძღვა-გინებას.

„რუსთავი-2“ ქვეყნის კულტურის სფეროს, ხალხის განათლებისა და შემეცნების, ახალგაზრდობის პატრიოტებად აღზრდის პროპაგანდისტი კი არა, ქართველი ერის დათრგუნვის, სულიერი დეგრადირების, დაქუცმაცების, ურთიერთდაპირისპირების და ისევ ნაციონალების გათეთრების, ხელისუფლებაში სააკისტების დაბრუნების იდეოლოგიური რუპორია.

ყოველგვარ ჟურნალისტურ და ჰუმანურ ეთიკას მოკლებული ეს ანტიეროვნული კანტორა აშკარად მოძალადე, ანტიქართულ მედიასაშუალებად ჩამოყალიბდა და ელემენტარულ კრიტიკას, მითითებას, შენიშვნასა თუ თხოვნას ვერ იტანს, გაღმა გვედავება, რომ გამოღმა შერჩეს!

ეს სააკაშვილისა და ბოკერიას, ჩიორასა და ირმას, კვესიტაძისა და ჩერგოლეიშვილის, გოკასა და კოტეს ხელწერაა... ნაცებს დაუმატეთ დასავლეთიდან დაფინანსებული მამაძაღლი არასამთავრობოები, ხათუნა გოგორიშვილის და მიხეილ მაჭავარიანის მამალი ტყუილები, გოგა ხაჩიძისა და კობა ხაბაზის გამოთაყვანებული სიფათები... ღმერთო, რა ჯგუფია, რა ჭრელი თაიგულია, რა ანტისახელმწიფოებრივი სპექტრია, რა საცოდაობაა, ვაშინერს (მტრისას!)!

...8 სექტემბერს უყურეთ ნაციონალი ასპიტის გიორგი გაბუნიას „არჩევანს“? რა ხალხი შეყარა ნაპროკურორალმა ნიკა გვარამიამ და მისმა პირველმა მოადგილემ(!!!), ვეტერინარმა ზალიკო უდუმაშვილმა ახალი სეზონის პირველ გადაცემაში... აპოკალიფსური ლაყბობა ერთი ყალბი რეფრენით – **ხელისუფლების ბრძოლა მედიის წინააღმდეგ** – სამსაათნახევარი გრძელდებოდა და მასში ძირითადად თამარ ჩერგოლეიშვილის მსგავსი უტიფარი, ათას თოკზე გადამხტარი ცოლები, ნაცოლარები და იმათი სიტყვითმეძავი დაქალები მონაწილეობდნენ (სიმართლის ნიშნით უნდა ვთქვა, რომ ამათ გვერდით მართლა მამა აბრამის ბატკანივით გამოიყურებოდა ორიოდე ზნეკეთილი ჟურნალისტი და პარლამენტარი ირაკლი სესიაშვილი).

„რა ატამი, რი ატამი“, რომელი მედიის წინააღმდეგ მიდის ბრძოლა? „ოცნების“ ხელისუფლება და იმათი მხარდამჭერები „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ რომ იბრძოდნენ, მედიის თავისუფლების რეიტინგში 124-ე ადგილიდან 72-ზე დავწინაურდებოდით?

ბიძინა ივანიშვილზე შემრიგებელი, მომთმენი, მართალი კაცი ბევრი შეგხვედრიათ?

თქვენისთანა არამზადების გადასარჩენად (რადგანაც მაინც ამ საწყალი და თქვენგან გაუბედურებული საქართველოს ცოდვის შვილები ხართ!) ბიძინა ივანიშვილის მსგავსად ვინმეს უზრუნია?

სანამ უნდა იაროთ ასე ტყუილებით, ავაზაკობით და სიბოროტით დაღდასმულებმა?

სანამ მოგითმენთ ამას აგრერიგად გაღიზიანებული ხალხი?

სპარტაკ ძოწულია

იხ. 3 გვ.

„ძალლი უალიკაპოდ უნდა გააგზავნო საქართველოში, რათა იქ აგოს პასუხი მის მიერ დაკბენილი ხალხის წინაშე“

8

ნატო „დათვს“ აფრთხილებს?

7

დახურული სამხედრო ბაზის გახსნა – პრევენცია თუ ომისთვის მზადება?

◎ დისკუსია

სიმართლე უტყუარი არგუმენტებით უნდა დამტკიცდეს

4

გოგბაძე მსოფლიო პოდიუმზე ავიდა

11

ჯანმოეგი კვება

ფარაონების დიეტა

12

◎ ვიზიტის ექო

საქართველოს ხელისუფალნი ჩინურ ფორუმზე

საძართველოს დელეგაცია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობს, სამუშაო ვიზიტით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ეწვია. დალიანის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს მთავრობის მეთაურს დალიანის ვიცე-მერი დახვდა.

9-13 სექტემბერს ირაკლი ღარიბაშვილი მაღალი რანგის ორმხრივ შეხვედრებს გამართავს და მონაწილეობას მიიღებს ქალაქ დალიანში მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში. პრემიერ-მინისტრი სიტყვით გამოვა სესიაზე – „თანამედროვე აბრეშუმის გზა“ („The Modern Silk Road“).

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებიან: ვიცე-პრემიერი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე,საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი გუბაზ სანიკიძე, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი გიორგი პერტაია, თანაინვესტირების ფონდის თავმჯდომარე გიორგი ბაჩიაშვილი, საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორი მამუკა ბახტაძე.

ჩინეთი ანაკლიის პროექტით დაინტერესდა

ირაკლი ღარიბაშვილმა ჩინეთთან ურთიერთობების გაღრმავების მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველო მიისწრაფის, იყოს ჩინეთის მთავარი პარტნიორი რეგიონში. საუბარი ასევე შეეხო ანაკლიის პორტის პროექტს. ჩინეთის განვითარების ბანკის წარმომადგენელმა დააფიქსირა ჩინური მხარის დაინტერესება ანაკლიის პროექტთან დაკავშირებით.

შეხვედრას დაესწრო ყველა იმ კომპანიის წარმომადგენელი, რომლებიც საგზაო მაგისტრალის პროექტის განხორციელებაში იქნებიან ჩართულები: MCC International Incorporation Limited, China Development Bank 6nner Mongolia Branch, China Export & Credit Insurance Corporation.

სამშენებლო კომპანია „Zhuhai Da Heng Qin Company Limited“ შედის მსოფლიო ათეულში. კომპანიის განხორციელებული პროექტების რიცხვშია პეკინის ოლიმპიური სტადიონი.

შეხვედრას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, პარლამენტის წევრი დავით საგანელიძე და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დავით აფციაური დაესწრნენ.

შეხვედრა კლაუს შვაბთან

დალიანის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებელს კლაუს შვაბს შეხვდა. ირაკლი ღარიბაშვილმა პროფესორ შვაბს მიწვევისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ დალიანის ეკონომიკური ფორუმი საქართველოსთვის ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი.

მილიარდი დოლარი ახალი საგზაო ინფრასტრუქტურისთვის

ჩინეთის ერთ-ერთმა უმსხვილესმა კომპანიამ „Zhuhai Da Heng Qin Company Limited“ შესაძლოა საქართველოში ახალი საგზაო მაგისტრალის პროექტი დაიწყოს, რომლის საინვესტიციო ღირებულება მილიარდ დოლარს აღემატება – ჩინეთში ვიზიტით მყოფი საქართველოს პრემიერ-მინისტრი კომპანიის ხელმძღვანელებს შეხვდა.

აღინიშნა, რომ პროექტზე იმუშავებს მსოფლიო ათეულში მყოფი სამშენებლო კომპანია და ჩინეთის განვითარების ბანკი, რომელიც აფინანსებს ჩინეთის ინფრასტრუქტურული მშენებლობების უდიდეს ნაწილს.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ორ კვირაში თბილისს სპეციალისტებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი ეწვევა, რომლებიც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, ადგილზე გამართავენ მოლაპარაკებებს პროექტის დეტალების შესახებ.

მთავრობის მეთაურმა დაადასტურა საქართველოს ხელისუფლების დაინტერესება აღნიშნული პროექტისადმი. მისი განმარტებით, პროექტი საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის არის და აღუთქვა კომპანიის ხელმძღვანელებს სრული მხარდაჭერა, მას შემდეგ, რაც პროექტის დეტალები დაზუსტდება.

მონღოლები ჩვენი სოფლის მეურნეობით დაინტერესდნენ

საძართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მონღოლეთის პრემიერ-მინისტრს საიხანბილეგ ჩიმედს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა მიმოიხილეს საქართველოსა და მონღოლეთს შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები. აღინიშნა მონღოლეთის დაინტერესება საქართველოს სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სფეროებით.

საუბარი შეეხო აბრეშუმის გზის მნიშვნელობას. მონღოლეთის პრემიერ–მინისტრი მიესალმა ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენის იდეას, რომელიც ევროპასა და აზიას უმოკლესი გზით დააკავშირებს და შეამცირებს დროს და ხარჯს.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელს შეუწყობენ ორი ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს შორის პირდაპირი კონტაქტების დამყარებასა და პარტნიორული თანამშრომლობის განვითარებას.

„მიცუბიში“ საქართველოში გვეწვევა

საძართველოში მსხვილი საერთაშორისო კორპორაცია „მიცუბიშის“ სამუშაო ჯგუფი ჩამოვა – აღნიშნული გადაწყვეტილება კორპორაციის თავმჯდომარემ იორიჰიკო კოჯიმამ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრისას მიიღო. შეხვედრა დალიანში, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გაიმართა.

ირაკლი ღარიბაშვილმა „მიცუბიშის“ თავმჯდომარეს საქართველოში არსებული ბიზნესგარემო გააცნო.

„მიცუბიში“ არის მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კორპორაცია, რომელიც ფლობს ბიზნესს მსოფლიოს 90 ქვეყანაში და დასაქმებული ყავს 68 ათასი ადამიანი . 2014 წელს კორპორაციის შემოსავალმა 74 მილიარდი დოლარი შეადგინა.

◎ მოსავალი 2015

კახეთში რთველი იწყება

სახელმწიფო, დაპირებისამებრ, 10 სექტემბრიდან ყურძნის შესყიდვას დედოფლისწყაროს და სიღნაღის რაიონებიდან იწყებს.

ამ ეტაპზე 4 ღვინის საწარმო „დედოფლისწყაროში“, დაბა წნორში, გურჯაანში და გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდარში სრულ მზადყოფნაშია, დაიწყოს ყურძნის გადამუშავება.

რთველში ეტაპობრივად კახეთის რეგიონის სხვა რაიონებიც ჩაერთვება, რასაც შესაბამისად სხვა სახელმწიფო ღვინის საწარმოების გახსნა მოჰყვება.

სახელმწიფო მწიფე (კონდიციურ) 1 კგ რქაწითელში და მწვანეში გადაიხდის 25 თეთრს, რასაც ემატება ასევე სახელმწიფო სუბსიდია 35 თეთრი, რაც ჯამში 60 თეთრს შეადგენს. ასევე, 1 კგ საფერავში მევენახეს სახელმწიფო გადაუხდის 60 თეთრს, რაც სუბსიდიის ჩათვლით მიაღწევს 75 თეთრს.

აღნიშნულის შესახებ დეტალურად ინფორმირებულია დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონების ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები და მოსახლეობას დეტალების დასაზუსტებლად შეუძლია მიმართონ მათ – თუ რომელ საწარმოში რომელი ჯიშის ყურძენი შეუძლიათ ჩააბარონ.

რთველის საკოორდინაციო შტაბში დარეგისტრირებულია 56 ღვინის კომპანია, რომლებიც ყურძნის სიმწიფეში შესვლისთანავე აქტიურად დაიწყებენ მოსახლეობისგან ყურძნის შესყიდვას.

ამასთან ერთად, მევენახეს შეუძლია საკუთარი ყურძენი კერძო კომპანიებსაც ჩააბარონ. რამდენიმე კერძო ღვინის კომპანიამ უკვე შეისყიდა მოსახლეობისგან ყურძენი.

მიმდინარე წელს, მიუხედავად აგვისტოში მომხდარი სტიქიით მიყენებული ზარალისა, შარშანდელთან შედარებით ყურძნის უხვი მოსავალია. ხელისუფლებას აქვს სრული მზაობა და გაწერილი გეგმა, რათა წლევანდელმა რთველმაც ორგანიზებულად ჩაიაროს და მოსავალის რეალიზაცია-დაბინავების პრობლემა არც ერთ მევენახეს არ შეექმნას.

ნუ დავხატავთ გიორგი ქადაგიძეს ანგელოზად...

რაში უშლის ხელს ეროვნულ ბანკს კონტროლი? – ამის შესახებ პრესკონფერენციაზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გოგი თოფაძემ განაცხადა. მისი თქმით, ლართან დაკავშირებულ კრიზისში ეროვნული ბანკის მოქმედებები უნდა გამოიკვლიოს საზედამხედველო სამსახურმა, რომელიც

ეროვნულ ბანკს გამოეყო და თუ დადასტურდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დანაშაული დადასტურდება, მაშინ გამოძიებაც უნდა დაიწყოს.

„ჩვენთან ეკონომისტების და ბიზნესმენების შეფასებით, ლარის გაუფასურება განაპირობა ეროვნული ბანკის არასწორმა მოქმედებებმა. ერთი პერიოდი, როდესაც დოლარის კურსი ლართან მიმართებაში ორამდე ავიდა, ამ პერიოდში ეროვნულმა ბანკმა სამწუხაროდ სავალუტო რეზერვების ინტერვენცია არ გააკეთა. როდესაც 2.35-ზე ავიდა კურსი, ეროვნულმა ბანკმა 280 მილიონი ლარი გამოუშვა ბაზარზე და მეორედ 300 მილიონ ლარამდე. ამან დიდი რღვევა გამოიწვია. იყო მსჯელობა, რომ პარლამენტში დაბარებული იყო ეროვნული ბანკის ხელმძღვანელიც. ჩვენ ვთქვით, რომ დაშვებული იყო შეცდომები. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა არასწორი ნაბიჯები გადადგა, როდესაც ინტერვენცია გააკეთა არა ლარის გამყარებისთვის, არამედ პირიქით“, – განაცხადა თოფაძემ.

მისივე თქმით, საპანიკო არ არის, რომ ეროვნულ ბანკზე იქნება გარკვეული კონტროლი.

„ამაზე იყო განხილვა ექსპერტების და სპეციალისტების და რა საპანიკო გახდა, რომ იქმნება გარკვეული კონტროლი. ჩვენი წვალებით რაღაცნაირად შევინარჩუნეთ კურსი, როდესაც დავიწყეთ ამ ეროვნული ბანკის სერიოზული შემოწმება და კრიტიკა. პრაქტიკულად უკონტროლო იყო და შემოწმდეს, რაში უშლის ხელს ეროვნულ ბანკს?! თუ დაშვებული იქნა რაღაც შეცდომები, საზოგადოებამ უნდა გასცეს პასუხი. ის კომისია რომელიც იქმნება უნდა ნახოს რა ხდება, რომ აღარ მოხდეს ასეთი შეცდომები. ნუ დავხატავთ ქადაგიძეს ანგელოზად, ფაქტები გვაქვს. თუ დააშავა ხალხმა უნდა მოსთხოვოს პასუხი. თუ ეს დანაშაული დადასტურდა, გამოძიებაც უნდა დაიწყოს“, – განახცადა თოფაძემ.

◎ ინფორმაცია

მსოფლიოში ბავშვთა სიკვდილიანობა შემცირდა

1990 წლის შემდეგ მსოფლიოში ბავშვთა სიკვდილიანობა 53 პროცენტით შემცირდა. ამის შესახებ გაეროსა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ანგარიშშია ნათქვამი.

დოკუმენტის მიხედვით, 25 წლის წინ 12,7 მილიონი ხუთ წლამდე ასაკის ბავშვი დაიღუპა, წელს კი აღნიშნული რიცხვი ექვს მილიონამდე შემცირდა. თუმცა, როგორც გაეროში აცხადებენ, გამოწვევები ჯერ კიდევ წინაა და ბევრი ფაქტორია გამოსასწორებელი იმისთვის, რომ ბავშვთა სიკვდილიანობის კლების ტენდენცია გაგრძელდეს.

გაეროს მიზანი იყო 1990-დან 2015 წლის ბოლომდე სიკვდილიანობა ორი მესამედით შემცირებულიყო.

ცოლების შოუ მამლის მესამე დაყივლებამდე...

გაბუნიას 8 აგვისტოს „ნაცრჩევანის“ გამო

„ჩვენ არაფრის გვერიდება!“ – განუცხადა **გიორგი გაბუნიამ** „თავის გადაცემაში“ ირაკლი სესიაშვილს.

აღიარებითი ჩვენების უკეთესი მაგალითი ძნელად მოსაძებნია.

რატომღაც, ცნობილი ჟურნალისტის, ქალბატონი ნარგიზა მგელაძის საყვარელი ფრაზა გამახსენდა: „კაცი რომ „იმას“ იკადრებს, მერე ყველაფერს იკადრებს.“

ამერიკის შეერთებულ შტატებში **ინგა გრიგოლიასთან** ერთად (თავად აღიარეს, ოღონდ, ნუ იჩქარებთ – იქ „საკუთარი“ პროდიუსერების თანხლებით ყოფილან) კარგად დასვენებულმა გაბუნიამ თავისი **„ნაცრჩევანის“** პირველ სტუმრად სწორედ ეს უკანასკნელი შემოგვთავაზა – მისგან განსხვავებით, არა მხოლოდ დასვენებული, „იმედიდან“ უიმედოდ „„განსვენებულიც“. რას ვიზამთ, მათი ბედი სიღრმისეულად განსხვავებულია: გვარამია გაბუნიას ვერასოდეს გაეყრება, გრიგოლიას კი ვინ არ შელევია, „იმედი“ რომ ვერ შეელიოს.

რაზე ისაუბრებდნენ გრიგოლია და გაბუნია, ეს ადვილად მისახვედრია – რა თქმა უნდა, „მედიის წინააღმდეგ ბრძოლაზე.“

გრიგოლიამ, გაბუნიას გასახარად, ხელი პირდაპირ ივანიშვილს დაადო – მან და მხოლოდ მან გამაგდოო. ბედნიერი ივანიშვილი – საზრუნავი გამოლევია და შეუძლია, მთელი ყურადღება ინგას დაუთმოს.

აი, ასე, არც უდანაშაულობის პრეზუმფცია, არც მორიდება!

მორიდება და ინგა?!

გაბუნია და რიდი?!

ნაადრევია თქვენი სიხარული, მეაუცილებლად დავბრუნდებიო, – დაგვემუქრა გრიგოლია – ყველას, ტაქსის მძღოლების გარდა – გულახდილად აღიარა, მხოლოდ მათზე ვმუშაობო.

აქ კი ადრე წაკითხული გამახსენდა: სააკაშვილის დროს, უშიშროებას რამდენიმე ტაქსის მძღოლი აგენტად ჰყავდა აყვანილი. გაგიბამდნენ საუბარს, ვითომ ხელისუფლების მოწინააღმდეგენი იყვნენ, წამოგაცდენინებდნენ რაღაცრაღაცებს და ყველაფერს „იქ“ მოისმენდნენ.

გუშინწინდელი „ნაცრჩევანის“ შემდეგ აღარ მიკვირს, რატომ მოიხსენიებენ გრიგოლიას სოციალურ ქსელში ასე ხშირად ნაცების აგენტად.

გაბუნიას „ნაცრჩევანში“ კიდევ ბევრი რამ იყო უცნაურად საინტერესო:

„„იბერიისა“ და „იმედის“ დამრბევი ნაცხელისუფლების სახე **გოკა გაბაშვილი** აღშფოთებით ლაპარაკობდა პოლიტიკური თოქშოუების დახურვაზე(?!);

გიგა ბოკერიას თანამეცხედრე **თამარ ჩერგოლეიშვილი** აღშფოთებით ლაპარაკობდა მედიაზე პოლიტიკურ ზეწოლაზე(?!);

ციკლიდან: „რაღაც ძალიან დალპა მედიის სამეფოში“

შოთა უტიაშვილის მეუღლე **ეკა კვესიტაძე** აღშფოთებით ლაპარაკობდა იმაზე, რომ თურმე ვიღაცას უთვალთვალებდნენ(?!)

ამაზე უფრო საინტერესო და სასეირო რა უნდა იყოს?!

არ გაინტერესებთ თურმე ვის უთვალთვალებდნენ? - **ალექსი პეტრიაშვილის** ახლად შერთულ მეუღლეს – **ეკა მიშველაძეს(?!)**

ის კი ვერავინ თქვა, რატომ უთვალთვალებდნენ...

ანდა რა უნდა ეთქვათ?!

სტუდიაში იჯდა კიდევ ერთი ნაცმეუღლე – **ნინია კაკაბაძე,** ვინც ჩვეულებას ვერ ღალატობდა და გაბუნიას იმედებს ბოლომდე ვერ ამართლებდა. ის კი არა, ბოლოს, ირაკლი სესიაშვილისგან მიღებული ალიყურით ისედაც სახეალეწილ წამყვანს მდუღარეც კი გადაასხა – მისგან შექებული გრიგოლიას გადაცემა უკიდურესად შემოელანძღა - სულ უგემოვნებო და ანალიზს მოკლებული ეძახა.

აქ კი გულწრფელად შემეცოდა ინგა – ამათ მეუღლეები მაინც შერჩათ...

რაგინდ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამგვარ „ნაცრჩევანშიც“ იჯდა ერთი მეუღლე, რომელიც პროფესიულ ღირსებას იცავდა – **ლუბა ელიაშვილი.** ის შიგადაშიგ ნაცებს თავიანთ ავ საქმეებს ახსენებდა, რითაც ნაწილობრივ გაგვიქარვა ის გულისტკივილი, ბოლო დროს მთავრობაზე განაწყენებული მისი წესიერი მეუღლის არასამართლიანმა გამოსვლებმა რომ გაგვიჩინა.

დანარჩენებზე ლაპარაკიც არ ღირს – არც მწვადს წვავდნენ და არც შამფურს, რაც ჩერგოლეიშვილსა და კვესიტაძეზე უფრო უარესია.

ეს „ნაცრჩევანიც“ მამლის მესამე დაყივლებამდე გაგრძელდა.

რა დარჩა მაყურებელს? – ალბათ, გაბუნიას ერთადერთი ფრაზა: „ჩვენ არაფრის გვერიდება!“

ანუ არაფრის გვრცხვენიაო(?!).

მაგრამ ეს ხომ ისედაც ვიცოდით...

ხვალ კი „კურიერი“ ისევ დაიწყება **ზალიკო უდუმაშვილის** სიხარულით: „მმართველ გუნდში დაპირისპირება პიკს აღწევს“... სინამდვილეში კი აღმოჩნდება, რომ თურმე მეჭიაურს რესპუბლიკელები გაუკენწლავს...

დიდი ამბავი!

დიდი – მხოლოდ „ცრუსთავორისთვის“...

იოსეგ ჟუმგურიძე

◎ ალიან-ჩალიანი

„მამულიჩა“ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს

პროდიუსერს, ნარკოდანაშაულში ბრალდებული კახა მამულაშვილს პატიმრობა 15 ათასლარიანი გირაოთი შეეცვალა. ამის შესახებ პროკურატურიდან იტყობინებიან.

„დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა და მოითხოვა აღკვეთი ღონისძიების პატიმრობის გირაოთი შეცვლა. სასამართლომ დაკმაყოფილა შუამდგომლობა და ბრალდებულ კახა მამულაშვილს პატიმრობა გირაოთი შეუცვალა. მამულაშვილს დამატებითი ღონისძიების სახედ დაევალა პასპორტისა და პირადობის მოწმობის ჩაბარება, ასევე ათ დღეში ერთხელ სამართალდამცავ ორგანოებში გამოცხადების ვალდებულება“, – აცხადებენ პროკურატურაში.

მათივე ინფორმაციით, საქმის არსებითი განხილვა გრძელდება და მორიგი სასამართლო პროცესი 23 სექტემბერს არის ჩანიშნული.

ნარკოდანაშაულში ბრალდებული პროდიუსერი კახა მამულაშვილი, იგივე „მამულიჩა“ სასამართლო დარბაზიდან გუშინ გაათავისუფლეს.

ახლა უგულავას ადვოკატებს ეხვეწე – დაისავით უგულავარ...

გიგი უგულავას სახაზინო ადვოკატის განცხადებით, იგი მიცემულ ორდღიან ვადაში დასკვნით სიტყვას ვერ მოამზადებს, რადგან საქმე მოცულობითია, – ამის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოში „იმედისა“ და რიყის ტერიტორიის გასხვისების საქმეზე, პროცესის გადადების შემდეგ სახაზინო ადვოკატმა ზაქარია გვიშიანმა განაცხადა.

ადვოკატის თქმით, მისთვის უცნობია, რატომ არ ცხადდება გიგი უგულავას არჩეული ადვოკატი გიორგი კონდახიშვილი სასამართლო პროცესზე და ასევე უცნობია, მოვა თუ არა შემდეგ სხდომაზე.

მოსამართლემ კი სახაზინო ადვოკატი, ისევე როგორც გიგი უგულავას არჩეული ადვოკატიც გააფრთხილა, რომ თუკი 11 სექტემბერს სხდომაზე დაცვის მხარე დასკვნით სიტყვას არ იტყვის, ორივე მათგანს დააჯარიმებს.

„საქმე არის მოცულობითი. ჩატარებულია მთელი რიგი გამოკითხვები, დაკითხულია უამრავი მოწმე. დაცვას სჭირდება საკმაო პერიოდი იმისათვის, რომ სრულყოფილად მოემზადოს. სამწუხაროდ, დღევანდელი სხდომა ორი დღის ვადით გადაიდო. ამ ვადაში შეუძლებელია დაცვის მხარე სრულფასოვნად მოემზადოს. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს შევხვდი, გავიარე კონსულტაცია და საკმაო პერიოდი მჭირდება დაცვის სრულყოფილად განხორციელებისთვის“, – განაცხადა ზაქარია გვიშიანმა.

მისი თქმით, რაც შეეხება გიგი უგულავას არჩეულ ადვოკატს, გიორგი კონდახიშვილს, არა აქვს ინფორმაცია, გამოცხადდება თუ არა შემდეგ სხდომაზე.

წესის გადახედვის წინადადებით სამთავრობო სტრუქტურებს მიმართავს

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტი ნარკოტესტირების პრაქტიკის და ამ მიმართულებით არსებული წესის გადახედვის წინადადებით შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებს მიმართავს.

კომიტეტმა „ნარკოტიკების მომხარებელთა საქართველოს ქსელის“და „ზიანის შემცირების ქსელის“ პეტიცია განიხილა, სადაც ე.წ. ქუჩის ნარკოტესტირების მანკიერ პრაქტიკაზეა საუბარი.

ქუჩის შერჩევითი ნარკოტესტირება სრულიად მანკიერ, კანონსაწინააღმდეგო და ხშირ შემთხვევაში ღირსების შემლახავ პრაქტიკას წარმოადგენს, რომელზეც მსოფლიოს ცივილიზებულმა ნაწილმა უარი თქვა. მათივე განცხადებით, ნარკოტესტირების პრაქტიკა ეფექტური არ არის, რასაც 2013-2014 წლების მონაცემები მოწმობს – კერძოდ, ნარკოლოგიურ ტესტირებაზე ნარკოტიკების მოხმარების ფაქტი ტესტირებაზე წარდგენილ პირთა მხოლოდ 30%-ს დაუდგინა, ხოლო 70%-ის შემთხვევაში, სამართალდამცავების საფუძვლიანი ეჭვი არ გამართლდა.

ინტერპრესი

ნოე ჟორდანია

სიმართლე უტყუარი არგუმენტებით უნდა დამტკიცდეს

ამას წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა სტატია „უგუნური ნაბიჯი, ავანტიურა თუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის კულმინაცია?“

სტატიის ავტორთან სადავო არაფერი გვაქვს. ზოგადად 1924 წლის აჯანყების პერიპეტიები ნორმალურად არის აღწერილი და გაშუქებული, მაგრამ ერთი რჩევა ბატონი უჩა ბლუაშვილისადმი მაინც მაქვს — როდესაც 1918—21წ.წ. დამოუკიდებელი საქართველოს პერიპეტიებს და 1924 წლის აჯანყების მოვლენებს ვაშუქებთ, უპირველესად უნდა გამოიყოს ჩვენი სახელოვანი პოლიტიკოსების — ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილის, კარლო ჩხეიძის, აკაკი ჩხენკელისა და სხვათა დამსახურება ქართველი ერის წინაშე. ვიტყოდი — კაცობრიობის წინაშეც.

ქართველი ერის აბსოლუტურ უმრავლესობას ზემოხსენებულ მამულიშვილებზე არასწორი წარმოდგენა აქვს და შედეგად მათ მიიჩნევენ ერის მოღალატეებად. ამგვარი შეხედულების შექმნაზე ლომის წილი მიუძღვის კუთხური სენით დაავადებულ მრავალ ქართველ ისტორიკოსს და მწერალს. ჩვენთან ჯერ კიდევ ასეთი წარმოდგენა აქვთ — რაკი დაიწერა, სიმართლეა.

ბუნებრივია, ყველა ხელისუფლებას ჰყავს ოპოზიცია, რომელიც დაუნდობლად აკრიტიკებს. ჩვენ რომ ავდგეთ და მხოლოდ და მხოლოდ ოპოზიციური გამონათქვამები მივიღოთ ჭეშმარიტებად, სინამდვილეს ასტრონომები რომ იტყვიან, რამდენიმე სინათლის წელიწადის მანძილით გვერდზე ჩავუვლით. რევაზ გაბაშვილი იმყოფებოდა იმჟამინდელი ხელისუფლების ოპოზიციაში და არც არის გასაკვირი მთავრობა მძაფრად გაეკრიტიკებინა, მაგრამ ზოგჯერ ძლიერ ცდებოდა (ვიტყოდი კატასტროფულადაც). მაგალითად, იგი ამტკიცებდა, რომ მენშევიკური მთავრობა, იდეური ნათესაობის გამო, ბოლშევიკების შემოსევას საქართველოში თავგამოდებით არ ებრძოდა, მეტიც, ზოგჯერ იგრძნობოდა მათდამი მხარდაჭერაცო. ეს ხომ დიდი ცილისწამება და დასაგმობი მოსაზრებაა.

ერთ-ერთმა თანამედროვე ქართველმა მწერალმა, რომელსაც თავისი თავი ქართული პროზის მამამთავრად მიაჩნია (ქართველთა მოურჩენელი სენი), ალბათ სადღაც წაიკითხა გაბაშვილის ეს მცდარი მოსაზრება და ამის მიხედვით მოთხრობა დაწერა... მოქმედება ვითარდება 1921 წლის თებერვალში. ჟორდანიას კაბინეტში შედის ქართველი გენერალი და მთავრობის თავმჯდომარეს აბარებს პატაკს — ბატონო მთავრობის თავმჯდომარევ! დღეის ვითარება ფრონტზე ასეთი იყო: მოვიგერიეთ მტრის შემოტევა, ტყვედ ავიყვანეთ მოწინააღმდეგის (ბოლშევიკები) ათასი ჯარისკაცი. გადავედით კონტრშეტევაზე, დავიკავეთ მნიშვნელოვანი პოზიციები... ჟორდანია გენერლის პატაკს ყურადღებით ისმენს. სახეზე ეტყობა დიდი წყენა. ბოლოს მოთმინების ფიალა აევსო, ფეხი დაჰკრა იატაკს, მაგიდას მუშტი დასცხო და გენერალს შეუყვირა: ისინი ხომ ჩვენი მეგობრები არიან, ასე დაუნდობლად უნდა მოვექცეთ იდეურ მოკავშირეებს?! შემდეგ გრძელდება მოჩმახული ამბები. რასაკვირველია, სიუჟეტს გადმოვცემ დაახლოებით.

ამის მერე რა შეფასება უნდა მიეცეს ხსენებული მწერლის ნაკალმარს, მკითხველისთვის მიმინდვია. მწერლის ვინაობას იმიტომ არ ვააშკარავებ, რომ პოლემიკაში არ მინდა შევიდე უმეცარ ადამიანებთან. მათთან კამათი და მსჯელობა ნიშნავს არასერიოზულობას, რამეთუ არასერიოზულ „მოსაზრებაზე“ სერიოზული მსჯელობა არასერიოზულია.

სამწუხაროდ, ჩვენი ისტორიკოსების მნიშვნელოვანი ნაწილი უმეტესად ეყრდნობა იმჟამინდელი ოპოზიციის მოსაზრებას, რასაც ხშირად ზემონახსენებ სისულელემდე მივყავართ. ამ ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი ემიგრაციაში ბერიას აგენტებად იქცა. მათ სინდისზეა გამოჩენილი პოლიტიკოსის ნოე რამიშვილის ქუჩაში მოკვლა. უცხოურ პრესაში და ქართულშიც, ვინც პრესას თვალყურს ადევნებს, დამეთანხმება, მათზე: კედიაზე, ვეშაპელზე, „თეთრი გიორგის“ წევრებზე, თვით ქაქუცა ჩოლოყაშვილზეც, წერენ როგორც ბერიას აგენტებზე. ხოლო გიორგი მაზნიაშვილი, ქართველი გენერალიტეტის აზრით, მოღალატეობრივ საქმიანობას ეწეოდა („ისტორიანი“, 2013წ. 16 აპრილი, გვ. 1-6). რასაკვირველია, საქმის კურსში მყოფი მკვლევარი დამეთანხმება და იტყვის: მართალია წერენ, მაგრამ, რასაც წერენ ყველაფერი მართალია?! — სრული სიმართლეა — დაწერილი უტყუარი არგუმენტებით უნდა დამტკიცდეს!

საბჭოთა კგბ-ს, კერძოდ ბერიას ასეთი დავალება ჰქონდა — მოეხდინა ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობის დისკრედიტაცია და ეს დავალება სრულყოფილად შეასრულა საზღვარგარეთ მყოფმა ოპოზიციამ, რის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. მეტიც, მასვე ბრალდება ნოე რამიშვილის მკვლელობა.

სამწუხაროდ, ჩვენი ისტორიკოსების მნიშვნელოვანი ნაწილი უმეტესად ეყრდნობა იმჟამინდელი ოპოზიციის მოსაზრებას, რასაც ხშირად ზემონახსენებ სისულელემდე მივყავართ. ამ ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი ემიგრაციაში ბერიას აგენტებად იქცა. მათ სინდისზეა გამოჩენილი პოლიტიკოსის ნოე რამიშვილის ქუჩაში მოკვლა.


ქაქუცა ჩოლოყაშვილი ემიგრაციაში

პოლიტიკაში გაურკვეველი ქართველი გენერლები და ოპოზიციონერები ცილისმწამებლურ მოსაზრებებს აქვეყნებენ პრესაში, მათ მიერ გამოცემულ წიგნებში ისეა გადმოცემული დამოუკიდებელი საქართველოს მედროშეების საქმიანობა, თითქოს ისინი მოღალატეობრივ საქმიანობას ეწეოდნენ ქართველი ერის წინაშე. არადა გამოჩენილი საზღვარგარეთელი თეორეტიკოსების აზრით, იმდროისათვის საქართველო დემოკრატიის ოაზისი იყო მსოფლიოში, ეს მცირე პერიოდი ქართველი ერისთვის ოქროს ხანადაც კი შეიძლება მივიჩნიოთო.

ჩვენი მხრიდან იმასაც დავუმატებდით, რომ პირველად ქართველი ერის ისტორიაში, ჩამოყალიბდა ერთიანი ქართული ნაციონალური სახელმწიფო. აბა, ყურადღება გავამახვილოთ, თუ როგორ მოიხსენებოდნენ ერთიანი ქართული სახელმწიფოს მეფეები — მეფე აფხაზთა, ეგრთა, ქართველთა და კახთა... 1918-21 წ.წ. საქართველოს კი ასე უწოდებდნენ — საქართველოს რესპუბლიკა.

მართალია, საზოგადოების განვითარებას უსასრულო ობიექტური ფაქტორები განაპირობებენ, მაგრამ ინდივიდებმა, კერძოდ, პოლიტიკოსებმა თუ ფეხი არ აუწყვეს დინებას, არ გაითვალისწინეს ობიექტური ფაქტორები, კატასტროფას მივიღებთ. ამაშია იმჟამინდელი მთავრობის წვლილი დამოუკიდებლობის მოპოვებაში. ზოგ უმეცარს ჰგონია, რომ რამდენიმე ათეულმა, თუნდაც ასეულმა, პოლიტპატიმარმა დაშალა საბჭოთა კავშირი. საბჭოთა იმპერიის დაშლა განაპირობა უსასრულო ობიექტურმა ფაქტორებმა, რისი აღქმა და გაანალიზება ადამიანის გონის შესაძლებლობას აღემატება.

რასაკვირველია, გარკვეული ოდენობის ობიექტური ფაქტორის გაცნობიერება შეიძლება. ობიექტურ ფაქტორებს სხვადასხვა თეორეტიკოსები განსხვავებულად ასახელებენ. სწორედ ეს განსხვავებულობა ქმნის ჭეშმარიტებასთან მიახლოების შესაძლებლობას, მაგრამ სხვადასხვა სისულელეები კიდევ უფრო მაღალი რიგის სისულელეს ბადებს.

1893 წელს სოციალ-დემოკრატიის იმ ფრთამ, რასაც ნოე ჟორდანია ლიდერობდა, ასე განაცხადა: თუ ინდივიდი უნდა იყოს თავისუფალი, თუ საზოგადოება უნდა იყოს თავისუფალი, რატომ არ უნდა იყოს თავისუფალი ერი, რატომ არ უნდა ჰქონდეს მას საკუთარი სახელმწიფო. გამოდის, ნოე ჟორდანიას გუნდს პროგრამაში, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს დამოუკიდებლობა ეწერა. მისი შემდგომი საქმიანობა, მდგომარეობდა ტაქტიკური ამოცანების შესრულებაში, რათა საბოლოოდ სტრატეგიული ამოცანა შეესრულებინათ. როგორც შემდგომში დავინახავთ, ეს ურთულესი დავალება ამ გუნდმა ბრწყინვალედ შეასრულა. თვით ზოგი მკვეთრად დაპირისპირებული ოპოზიციონერის (მიხაკო წერეთელი) აზრითაც კი, ვინც არ უნდა ჩადგომოდა საქართველოს მთავრობას სათავეში ჟორდანიას გარდა, ქვეყანა სამოქალაქო ომს თავიდან ვერ აიცილებდა.

საქართველოს ამჟამინდელ პოლიტიკოსებს, პოლიტოლოგებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ უახლესი წარსულის ისტორიაზე, მეტიც, ისტორიკოსებიც ვერ აშუქებენ ამ პერიოდის მოვლენებს სწორად.

ერთმა მეტად თავმომწონე პოლიტიკოსმა ტელემაუწყებელ „ობიექტივის“ ეკრანიდან დამაჯერებლად განაცხადა: თუ ვის მხრებზე უნდა იდგეს დღევანდელი საქართველო და ჩამოთვალა ურაპატრიოტები, რომელთა ქმედებებმა საქართველო დააქციეს, ამ ჩამონათვალში მოხვდა გენერალი მაზნიაშვილი. აი, რა თქვა მასზე: თითქოს ორჯონიკიძე ეუბნება მაზნიაშვილს: რად ემსახურები მენშევიკებს, გადმოდი ჩვენთან. გენერალი კი პასუხობს: მე არც მენშევიკების გენერალი ვარ და არც ვინმესი, მე ვარ საქართველოს გენერალი... იყო მეფის გენერალი, შემდეგ, როგორც თვითონაც აღნიშნავს — საქართველოსი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამოუკიდებელი საქართველოს გენერალიტეტი მას ქვეყნის ღალატში ბრალს სდებდა.

ჩოლოყაშვილს ბერიას აგენტობას აბრალებდნენ, რასაკვირველია, ამ მძიმე ბრალდებას დამტკიცება სჭირდება, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ჩოლოყაშვილი ბერიას წერილებს სწერდა, რათა საქართველოში ჩამოსვლის ნებართვა მიეცა; ისიც მართალია, რომ ჩოლოყაშვილს გარკვეული წვლილი მიუძღვის ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობის დისკრედიტაციის საქმეში. ბოლშევიკი ლიდერები თავიანთ

აგენტებს მეტს არაფერს სთხოვდნენ – რაც შეიძლება მეტად ეძაგებინათ ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი, კარლო ჩხეიძე, ისიდორე რამიშვილი, კაკი წერეთელი და სხვები.

1924 წლის აჯანყება არ იყო ავანტიურა. როგორც ბლუაშვილის სტატიიდან ნათლად ჩანს ,ქართველი ხალხი მაინც აჯანყდებოდა, მაინც დაიღვრებოდა უამრავი სისხლი, ამიტომ საჭირო იყო მას გამოცდილი ხელმძღვანელები ჰყოლოდა და ეს მეტად საპატიო მისია იკისრეს ქართველმა პოლიტიკოსებმა და გენერლებმა. რასაკვირველია, დამარცხების შემთხვევაში „დანაშაულის“ მთელი სიმძიმე ხელმძღვანელზე გადავიდოდა და რიგითი მეამბოხეები ნაკლებად დაისჯებოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა – ხელმძღვანელებს (ვინც მოიხელთეს) და რიგითებსაც ბოლშევიკებმა მუსრი გაავლეს. დამარცხდნენ, მაგრამ ეს აჯანყება ოქროს ასოებით ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში. ჩვენთვის ცნობილია მრავალი აჯანყება, რაც რუსეთის წინააღმდეგ მოხდა მე-19 საუკუნეში. განა ყველა ამ აჯანყებას ავანტიურას უწოდებენ? 1924 წლის აჯანყება იყო ქართველი ხალხის პროტესტის უმაღლესი გამოხატულება, როდესაც მის ტრადიციებს, მეობას, გაქანებას, საშუალება არ მისცეს.

ქართველი ხალხი და ხელისუფლება დიდი ზარზეიმით აღნიშნავს 26 მაისს. გვირგვინით ამკობენ იუნკრების და მედდის მარო მაყაშვილის საფლავებს. მთელი ელექტრომაუწყებლობა და გაზეთები დაკავებულია ამ ადამიანების საგმირო საქმეების ჩვენებით. რასაკვირველია, მათ წინაშე მეც ქედს ვიხრი, მაგრამ 26 მაისთან დაკავშირებით მთელი ყურადღება გადატანილი უნდა იქნეს ამ შესანიშნავი თარიღის, ასე ვთქვათ, მედროშეებზე, ანუ დამოუკიდებელი საქართველოს იმჟამინდელ მთავრობაზე. რატომ არ ხდება ასე? – თანამედროვე ქართველი პოლიტიკოსები (პოზიცია და ოპოზიცია) ვერ ერკვევა იმჟამინდელ პერიპეტიებში, ისტორიკოსებსაც არ ძალუძთ ნამდვილი სურათი წარმოადგინონ საქართველოს იმჟამინდელი ყოფისა. შედეგად ეს ვაკუუმი ამოავსეს კუთხური მიკერძოებით დასნებოვნებულებმა ინდივიდებმა, რომელთა მიხედვით ერისთვის ცუდის გამკეთებლები ეროვნულ გმირებად არიან მიჩნეული, ხოლო კარგის გამკეთებლები – მტრებად. ასეთი რამ არც ერთ ქვეყანაში არ ხდება და არც არასოდეს მოხდება. გამონაკლისი საქართველოა. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას იმაშიც სდებენ ბრალს, რომ ვერ მოიგერია ბოლშევიკური რუსეთის შემოტევები. საკვირველია ის, რომ ამ ბრალდებულთა შორის ნახავთ სამხედრო მაღალჩინოსნებსაც. მაგალითად, თავდგირიძე ამტკიცებს, რომ საქართველოს შეეძლო ბოლშევიკური არმიების მოგერიება. ამას რომ სამხედრო იტყვის!.. იმდროისთვის საქართველოს შემოესივნენ მე-8, მე-9, მე-13 და მე-11 არმიები, ჟლობასა და ბუდიონის კავალერიის ნაწილები. ამ შეიარაღებულ ძალას სამხრეთისკენ გზა რომ განეგრძო, ჩვენზე გაცილებით ძლიერ სახელმწიფოებს გადათელავდნენ. აი, ასეთი ვაი-ექსპერტები ჰყავს საქართველოს. იმჟამინდელ ომს პროტესტის ნიშანი უნდა ეტარებინა. ეს მისია შეასრულა დამოუკიდებელი საქართველოს ჯარებმა, მეტიც, ეპიზოდურ ბრძოლებში წარმატებებიც ჰქონდათ. საქართველოს მთავრობის სასახელოდ უნდა ითქვას ისიც, რომ მან კაპიტულაციაზე ხელი არ მოაწერა და ემიგრაციაში იღვწოდა ქართული საქმეების საკეთებლად.

ავანტიურა არის, როდესაც უღირსი ინდივიდების დასაცავად აჯანყებას მოაწყობ და ეს ქმედება მოწინავე კაცობრიობის მხრიდან უარყოფითად შეფასდება, ან ისედაც მომაკვდავ იმპერიას, თავის გამოჩენის მიზნით, პირდაპირ ხახაში ჩაუვარდები, რაც შემდგომში ძვირად დაგიჯდება.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ბატონ უჩა ბლუაშვილს მეტი ყურადღება უნდა გამოეჩინა დამოუკიდებელი საქართველოს მედროშეების მიმართ, მათი ერთი ფოტოც უნდა მოეთავსებინა გაზეთში. ისიც უნდა აღენიშნა, რომ ფილიპე მახარაძემ საჯაროდ დაგმო ბოლშევიკების მიერ ამ აჯანყების სისხლში ჩახშობა. აი, რა განაცხადა მაშინ მახარაძემ: თუ ჩვენ იმას ვამტკიცებთ, რომ ქართველი ახალგაზრდები მენშევიკების მიერ არიან გაბრიყვებული, ასეთ ადამიანებს სიკვდილით არ სჯიანო. იმჟამად ასეთი მოსაზრების გამოთქმა, მეტად სარისკო საქმე იყო. 1922 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობა მახარაძის მეთაურობით გადადგა. ეს ფაქტი საბჭოთა კავშირის ისტორიაში უპრეცედენტოა... ამის შესახებ, რომ რამე ეთქვა სტატიის ავტორს, არაფერი დაშავდებოდა.

ბატონმა უჩამ შეიძლება მისაყვედუროს! თუ ჩემს სტატიას დადებითად აფასებ და სხვა მრავლისასა კი – უარყოფითად, რაღა მე მაძლევ შენიშვნებსო. ჯერ ერთი, შენიშვნების გარეშე არ არსებობს პროგრესი, მეორეც, შენიშვნებს იმას აძლევენ, ვისგანაც მეტს მოელიან, პუშკინს კარგად აქვს ნათქვამი: ცივად მიიღე შექება და ცილისწამება და უგუნურ კაცს ნურასოდეს შეეჭიდები. მომწონს თურქი პოეტის ნაზიმ ჰიქმეთის ერთი ლექსის ეს სტროფი: მე თუ არ დავიწვი, შენ თუ არ დაიწვი, აბა სიბნელე ვინ განანათლოს. მართალია, სიმართლის მთქმელ ადამიანს საქართველოში კუთხური სენით დაავადებული ადამიანები უსათუოდ ჩაქოლავენ, მაგრამ „დაწვის“ გარეშე ქვეყანა მარადიულ წყვდიადს თავს ვერ დააღწევს.

ამ სტატიას „საქართველოს რესპუბლიკაში“ იმიტომ ვაგზავნი, რომ მას ასე ვთქვათ, ასეთი დეკიზი აქვს: „რასაც ჩვენ გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ“...

ონისე მწარიაშვილი

რუსეთის გამოშვებული სიგნალი ჯერ მხოლოდ ნაპერწკალია

„ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი სიტუაციის გამწვავება, რუსეთს აქვთ მექანიზმები იმისთვის, რომ სერიოზული საფრთხე შეუქმნას საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას და რეგიონალურ სტაბილურობას“, – აცხადებს for.ge-სთან ექსპერტი საგარეო ურიერთობათა საკითხებში ვანო მაჭავარიანი, რომლის თქმითაც, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების შემდეგ, საქართველომ პარტნიორი ქვეყნების წინაშე უნდა წამოწიოს ეს საკითხი.

– მოსკოვი თვლის, რომ ის ქვეყნები და პოლიტიკოსები, რომლებსაც თბილისი ნატოსკენ მიჰყავთ, უნდა აცნობიერებდნენ თავიანთ პასუხისმგებლობას. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ეს განცხადება მუქარის შემცვლელია?

– რუსეთი იმეორებს იმ სახის განცხადებებს, რასაც 2008 წლის ბუქარესტის სამიტამდე ვისმენდით და საკმაოდ მძიმე შედეგებით დამთავრდა საქართველოსთვის. პარალელურად, ძალიან სერიოზული ზიანი მიადგა ევროპის უსაფრთხოებას და სტაბილურობას. რუსეთის გეოპოლიტიკური თუ სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, მისთვის ნატო-საქართველოს ერთობლივი სასწავლო ცენტრის გახსნა სასიხარულო ამბავი არ არის, ეს ცხადია.

ცხადია, რომ ნატო-საქართველოს ერთობლივი ცენტრი გრძელვადიანად უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას და ნატოსთან ინტეგრაციის დაჩქარებას, ამავე დროს, მოკლე ვადაში ჩვენ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი უსაფრთხოების გამოწვევები, როგორიც არის რუსული მცოცავი ანექსია და ის გეგმები, რომლითაც რუსული მხარე უბრალოდ, უარს ამბობს, შეასრულოს 2008 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

– ალიანსის მხრიდან ხაზგასმით გაცხადა, რომ ნატო-საქართველოს სასწავლო ცენტრი არ არის რუსეთის წინააღმდეგ მიმართული და ამის მაგალითია საჩხერის სასწავლო ცენტრი, რომელიც ასევე ნატოს ეგიდით არსებობს...

– რუსეთი ეძებს მიზეზს. ერთობლივი ცენტის გახსნა მკაფიო სიგნალია, რომ ინსტიტუციურად ნატო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მაქსიმალურად იპოვოს საქართველოსთან თანამშრომლობის გზები, ხელი შეუწყოს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის და უსაფრთხოების გამყარებას. ხელისუფლებამ ამ ცენტრის თემა უნდა გამოიყენოს ჩვენს პარტნიორ ქვეყნებში აქტიური დიალოგის გასამართად, რათა შემუშავდეს კონკრეტული ერთობლივი მექანიზმები იმისთვის, რომ სანამ საქართველო ნატოს წევრი ქვეყანა გახდება, როგორ უნდა იქნას უზრუნველყოფილი საქართველოს უსაფრთხოების გარანტიები.

– გეთანხმებით, რეალურად საქართველოს ჯარები მომზადდება, როგორც ეს ხდებოდა საჩხერის საწრთვნელ ბაზაზე; ასევე ეს ცენტრი მოემსახურება საქართველოს რეგიონალური სტაბილურობის და უსაფრთხოების თემებს, რომელიც უკავშირდება იმ საფრთხეებს, რომელიც შესაძლებელია რუსეთისთვისაც მომაკვდინებელი იყოს – ეს არის ისლამური ექსტრემიზმი.

ვიცით, რომ ისლამურ სახელმწიფოსთან ომში ძალიან აქტიურად არის ჩართული თურქეთი, რუსეთსაც იგივე გამოწვევა აქვს ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ კუთხით საქართველოს ნატოსთან თანამშრომლობას რეგიონის უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლების კუთხით, რუსეთი უნდა მიესალმოს, მაგრამ აქ საუბარია გეოპოლიტიკური პოზიციების დაკავებაზე.

– გამოწვევების მიუხედავად რუსეთი წინააღმდეგია გაფართოვდეს ალიანისის გეოპოლიტიკური გავლენა?

– დიახ. რუსეთს არ უნდა დაინახოს, რომ ისლამური სახელმწიფოს სახით მის ცხვირწინ ძალიან სერიოზული პრობლემაა, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება აფეთქდეს ჩრდილოეთ კავკასიაში.

– ამ ვითარებაში, შესაძლებელია რუსეთმა დაიწყოს რბილი ძალის პოლიტიკის ამოქმედება, რაც შესაძლებელია შემდეგ უკვე გარკვეულ ქმედებებში გადავიდეს და ეს ქმედება უფრო გამკაცრდეს საქართველოსთან მიმართებაში?

– რუსეთის მიერ რბილი ძალის გამოყენება რეალობაა, იქნება ეს პოლიტიკურ სივრცეში, სამთავრობო სექტორში თუ ზოგადად მოსახლეობაში. ჩვენ ძალიან აქტიურად ვხედავთ ამას და მათ შორის ქუჩაში. ახლახან შევესწარი საუბარს, როდესაც ძალიან კონკრეტულად მომართული ადამიანი ცდილობდა სხვა ადამიანების დარწმუნებას იმაში, რომ თურმე რუსეთი ჩვენი მეგობარია და მას უბრალოდ უნდა მოვერგოთ, რადგან ამერიკა და ევროპა შორს არის.

ეს არის ის აგენტურა და ის ადამიანები, რომლებიც რეალურად რუსეთის ინტერესებზე მუშაობენ. გავითვალისწინოთ ისიც, რომ კარს მომდგარია არჩევნები, რუსეთი მაქსიმალურად შეეცდება, ხელი შეუწყოს რუსულ ძალებს. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია ერთი რამ: უკრაინაში მიმდინარე კრიზისის ფონზე რამდენად არის მზად რუსეთი, რომ განახორციელოს სამხედრო აგრესია.

ადრეც ვამბობდი – მიუხედავად ჩვენი ძალისხმევისა, 2008 წლის შემდეგ ჟენევაში რუსეთთან ვერ მივაღწიეთ თანხმობას, ხელი მოაწეროს თავდაუსხმელობის შესახებ დოკუმენტს. ამავე დროს, ისიც ცხადია, რომ რუსეთი სიგნალს აძლევს ყველას, რომ საქართველოსთან მიმართებაში მისი გეგმები დასრულებული არ არის. ერთიანი სივრცის იდეა, რომელიც მას უნდა, რომ გავრცელოს, მოიცავს საქართველოსაც და ღიად არის გაცხადებული, რომ 2020 წლამდე ეს გეგმა რაღაც ფორმით უნდა განხორციელდეს.

– არსებული ეკონომიკური თუ გეოპოლიტიკური კრიზისის ფონზე რამდენად მოახერხებს ამის გაკეთებას რუსეთი?

– აი, ზუსტად აქ არის მნიშვნელოვანი, რომ ყველანაირად შეეშალოს ხელი და ამისთვის არის ზუსტად დღევანდელი ხელისუფლების ძალისხმევა, რომ მაქსიმალურად ღიად ესაუბროს ჩვენს პარტნიორ და ნატოს წევრ ქვეყნებს, დაარწმუნონ ისინი, რომ საფრთხე არის რეალური. ამიტომ, ისევე, როგორც უკრაინის პროცესშია ჩართული აშშ და ევროკავშირი, მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი უმაღლესი დონის ჩართულობას მიაღწიონ. იმიტომ, რომ სიგნალი, რომელიც გამოუშვა რუსეთმა, ეს არის მხოლოდ პირველი ნაპერწკალი იმისა, რაც რუსეთმა რიტორიკის და შემდგომ უკვე ქმედების დონეზე შესაძლოა განახორციელოს.

ვიცით, რომ ისლამურ სახელმწიფოსთან ომში ძალიან აქტიურად არის ჩართული თურქეთი, რუსეთსაც იგივე გამოწვევა აქვს ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ კუთხით საქართველოს ნატოსთან თანამშრომლობას რეგიონის უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლების კუთხით, რუსეთი უნდა მიესალმოს, მაგრამ აქ საუბარია გეოპოლიტიკური პოზიციების დაკავებაზე.

ფაქტია, რომ სამხედრო მიზნებს ემსახურება აფხაზეთში რკინისგზის აღდგენა. ასევე ფაქტია, რომ ის პროცესი, რომელიც წამოწყებული აქვს – მაქსიმალურად შეეცადოს, ჩიხში შეიყვანოს ჟენევის პროცესი და ამავე დროს ევროპული უსაფრთხოების დისკუსიიდან საერთოდ ამოაგდოს საქართველოს თემატიკა – ზუსტად, რომ სამხედრო მიზნებს ემსახურება.

იმ პირობებში, როდესაც მან შეესაძლოა ძალიან სერიოზული მარცხი განიცადოს უკრაინაში, აუცილებლად შეეცდება, რომ საქართველოს მიმართულებით მაინც არ ჰქონდეს ჩავარდნა. ამიტომ არის ძალიან რთული სიტუაცია.

– უკრაინაში მიმდინარე პროცესების ფონზე, აქვს რუსეთს იმის რესურსი, რომ ფართომასშტაბიან შერკინებაში გამოიწვიოს მსოფლიო საქართველოს თემასთან მიმართებაში?

– ვფიქრობ, რომ უახლოეს პერიოდში ჩვენ ამას არ უნდა ველოდოთ. 2016 წლის არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანი იქნება რუსეთისთვის. თუ შეძლებს რუსული ძალების მობილიზაციას იმისთვის, რომ ზეწოლა მოახდინოს ხელისუფლებაზე, რომ მეტად გაითვალისწინოს რუსული ინტერესები, ეს უახლოეს პერიოდში გამოჩნდება. იმ შემთხვევაში თუკი ამას მიაღწიეს, მაშინ, ძალიან გაუადვილდებათ მიზნების მიღწევა.

ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი სიტუაციის გამწვავება, რუსეთს აქვს მექანიზმები იმისთვის, რომ სერიოზული საფრთხე შეუქმნას საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას და რეგიონულ სტაბილურობას. რუსეთის სამინისტროს განცხადების შემდეგ, საქართველომ პარტნიორი ქვეყნების წინაშე უნდა წამოწიოს ეს საკითხი.

იმიტომ, რომ ეს არის რეალური ხელშესახები პრობლემა, რომელიც პარტნიორმა ქვეყნებმა ნახეს უკრაინაში და ცდილობენ, იპოვონ რაღაც გზები. ამ თვალსაზრისით საქართველოც უნდა გახდეს განხილვის თემა და უნდა მოიძებნოს ე.წ. ჟენევა 2-ის ახალი ფორმა, რომელიც საქართველოს მისცემს უფრო მეტი უსაფრთხოების გარანტიებს რუსეთის შესაძლო ჰიბრიდული, თუ პირდაპირი აგრესიისგან.

თამთა ქარჩავა

იქნება საკონსტიტუციო ცვლილებები?

უკვე დაბრალებული სიყრუის მკურნალობასაც ჩემულობენ?!

12 ოპოზიციური პოლიტიკური პარტია საარჩევნო სისტემის შეცვლას 200 000 ხელმოწერის შეგროვებით და საკონსტიტუციო ცვლილებების მიღწევით შეეცდება. 8 სექტემბერს სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ შეკრებილმა საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წევრებმა ათკაციანი საინიციატივო ჯგუფის შექმნა გადაწყვიტეს, რომელიც პარლამენტმა უნდა დაარეგისტრიროს. სწორედ ამ ჯგუფს დაევალება საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირებისთვის ამომრჩეველთა ხელმოწერების შეგროვება. ოპოზიციის მიზანია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარება და მაჟორიტარული სისტემის გაუქმება.

— ხელისუფლებას არ ესმის ოპოზიციის, საერთაშორისო ორგანიზაციების და ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის, არ სურს, გაიზიაროს მათი აზრი უვარგისი საარჩევნო სისტემის შეცვლის თაობაზე, განაცხადა „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა მამუკა კაციტაძემ 8 სექტემბერს, საპარლამენტო და არასაპარლამენტო 12 პარტიის შეხვედრის წინ. მისი თქმით, დროა, „დაყრუებულ“ ხელისუფლებას ხალხის ხმა გააგონონ:

„საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების ორი გზა არსებობს, ეს არის პროცედურის ან 76 დეპუტატის ხელმოწერით, ან 200 000 ამომრჩევლის ხელმოწერით დაწყება. რადგან ხელისუფლება დაყრუვდა და ჩვენი არ ესმის, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ საკუთარი ამომრჩევლის ხმა გავაგონოთ. ამიტომ მივმართავთ საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირების მეორე გზას და მივმართავთ პარლამენტს, რათა 200 000 ხელმოწერის შეგროვების პროცედურა დავიწყოთ. იქნებ საქართველოს ამომრჩევლის ხმა მაინც შევასმინოთ ამ ხელისუფლებას, რომელიც საარჩევნო სისტემის შეცვლას გაურბის და კვლავ აპირებს მანდატების მოპარვით მომავალ პარლამენტში უმრავლესობის მიღებას“.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრის ირაკლი ჩიქოვანის განცხადებითაც, ხელისუფლებამ უნდა დაინახოს, რომ მის პოზიციას საარჩევნო კანონმდებლობის თაობაზე მხარს მის გარდა არავინ უჭერს. ამის საჩვენებლად დაიწყება სწორედ ხელმოწერების შეგროვება საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის, რომელიც ძალაში 2016 წლის არჩევნებამდე უნდა შევიდეს.

„ეს არის რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში შემოვიღოთ სამხარეო პროპორციული სია, რომელიც ადეკვატურად უზრუნველყოფს როგორც რეგიონალურ წარმომადგენლობას საქართველოს პარლამენტში, ასევე იმ დოზით წარმომადგენლობას, რა დოზითაც ამ ადამიანებს თუ პოლიტიკურ ძალებს მხარს უჭერენ ქართველი საზოგადოების წევრები“.

ოპოზიცია საარჩევნო სისტემის შესაცვლელად 200 000 ხმის შეგროვებას იწყებს

ნაციონალური მოძრაობის წევრი ხათუნა გოგორიშვილი „ქართულ ოცნებას“ მის წინასაარჩევნო პროგრამას ახსენებს, რომლის ერთ-ერთი მთავარ საკითხი სწორედ საარჩევნო სისტემის შეცვლა იყო. თუმცა გოგორიშვილისა და მისი თანამოაზრეებისთვის აშკარაა, რომ ხელისუფლება 2020 წლამდე ცვლილებას არ გეგმავს. ამ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი 200 000 ხელმოწერის შეგროვებაა. რაც შეეხება პროცედურას, ხათუნა გოგორიშვილის თქმით, **„უნდა შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი მინიმუმ 10 კაცის წარმომადგენლობით და პროექტთან ერთად წარედგინოს პარლამენტს, სამი დღის ვადაში ეს ინიციატივა საპროცედურო კომიტეტს უნდა გადაეცეს, ხოლო საპროცედურო კომიტეტი ვალდებულია, შვიდი დღის ვადაში ასევე განიხილოს და თუ კანონთან შესაბამისობაში ყველაფერი რიგზეა, დაარეგისტრიროს ეს ჯგუფი და მისცეს მას ხელმოწერების შეგროვების უფლება“.**

ოპოზიციის მოთხოვნას მაჟორიტარული სისტემის გაუქმების თაობაზე უპასუხეს საპარლამენტო უმრავლესობაშიც. კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი გია ჟორჟოლიანი ოპონენტებს მოუწოდებს დემოკრატიული ქვეყნების საარჩევნო სისტემებს გადახედონ. მათ შორის, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა თუ საფრანგეთში, რომელის ქვეყნების დემოკრატიულობაშიც ეჭვი არავის შეპარვია. **— რა გავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესებზე მაჟორიტარული სისტემა, რომლის შეცვლასაც მოითხოვს ოპოზიცია?,** — ვკითხეთ იურისტ ვახუშტი მენაბდეს. მისი განმარტებით, ამ სისტემის პრობლემა ის არის, რომ მას უსამართლო შედეგები მოაქვს. კერძოდ: **„მაჟორიტარულ არჩევნებში გასამარჯვებლად ხმების 50% გჭირდება. გამოდის, რომ თუ ხელისუფლებას (და ეს, პრინციპში, დღეს ასეა) ქვეყნის უმეტეს საარჩევნო ოლქში აქვს 50%-იანი უპირატესობა, საბოლოო ჯამში საკანონმდებლო ორგანოში პროცენტულად იმაზე მეტ მანდატს მიიღებს, ვიდრე მას ელექტორალური მხარდაჭერის თვალსაზრისით ეკუთვნის. ანუ: თუ ის მოიგებს ყველა ოლქში, გამოვა, რომ დანარჩენ 49%-ს წარმომადგენელი არ ეყოლება პარლამენტში მაჟორიტარული წესით და მეორე პრობლემა, ის წაიღებს ასი პროცენტით მანდატებს. უფრო მეტს, ვიდრე ეკუთვნის. ამიტომ არის ეს სისტემა უსამართლო“.**

8 სექტემბერს ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, საქართველოს კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებების თანახმად, რომელიც 2016 წლის არჩევნების შემდგომ არის დაგეგმილი, საპარლამენტო საარჩევნო ზღვარი 5%-დან 4%-მდე შემცირდეს. თუმცა, როგორც მამუკა კაციტაძემ ამ თემის კომენტირებისას განაცხადა, ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული ვარიანტის თანახმად, რეალურად ბარიერი კი არ იკლებს, არამედ იზრდება და ამას ის ძალიან ადვილად დაამტკიცებს.

რადიო „თავისუფლება“

◎ ამერ-იმერი

მოესწრება კი სასწავლო წლის დაწყებამდე ბაღების მონიტორინგი?

თბილისის მერის დავით ნარმანიას დავალებით, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა საბავშვო ბაღის მონიტორინგი განხორციელდება.

მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელს თემურ თორდინავას შესაბამისი დავალება მისცა.

თბილისის მერის თქმით, ბაღებში სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ზაფხულის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა. დავით ნარმანიამ ხაზი გაუსვა ბაღებში საკვები პროდუქტების შესყიდვის საკითხს და აღნიშნა, რომ თუ ადრე ბაღებში საკვები პროდუქტების შეძენა პირდაპირი შესყიდვის გზით ხდებოდა, თბილისის მერის გადაწყვეტილებით, ეს პროცესი ტენდერით განხორციელდება.

„ტენდერის შედეგად დაიწია ფასებმა და გამოირიცხა ის მანკიერი პრაქტიკა, რაც ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირ შესყიდვასთან არის დაკავშირებული. არის რამდენიმე სახეობა საკვები პროდუქტების, სადაც განმეორებით გამოცხადდა ტენდერები და მე ვფიქრობ, კარგი შედეგებით დასრულდება პროცესი. ის სახეობები, სადაც ჯერ არ არის გამოვლენილი გამარჯვებული, მოხდება საკმარისი პროდუქტების პირდაპირი წესით შეძენა“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

თბილისის მერის თქმით, რამდენიმე ახალი საბავშვო ბაღი მიმდინარე წლის შემოდგომაზე გაიხსნება. დავით ნარმანიას განცხადებით, ახალი მთავრობის პირობებში 7 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყო და მომდევნო წელს დამატებით 10 საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყება.

აშენების ნაცვლად აშენებულს ანგრევენ?

თბილისში, პეკინის ქუჩაზე საბავშვო ბაღის „საპოვნელას“ დემონტაჟი მიმდინარეობს. ბაღის დემონტაჟს ადგილობრივი მოსახლეობა აპროტესტებს.

შენობის დემონტაჟს კომპანია „ელ ზურო“ ახორციელებს.

საბავშვო ბაღის ადგილზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის აშენება იგეგმება, რაც დაუშვებელია, რადგანაც საბავშვო ბაღის დემონტაჟი კანონდარღვევით ხორციელდება.

„ანგრევენ საბავშვო ბაღს, რომელიც არ არის ავარიული. იგეგმება საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე არსებული ხეების მოჭრა, სანაცვლოდ კი კომპანია „ელ ზურო“, რომელმაც გაურკვეველია, ეკონომიკის სამინისტროდან როგორ მოიპოვა საკუთრების ლიცენზია, აშენებს მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსს. გარდა იმისა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას არ გვექნება საბავშვო ბაღი, მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა საფრთხეს შეუქმნის ჩვენ საცხოვრებელ კორპუსებს, რომელიც ავარიულ მდგომარეობაშია“, — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ ნინო ჭოტაშვილმა.

ადგილობრივი მოსახლეობა უყურადღებობაში მაჟორიტარ დეპუტატ დავით ზურაბიშვილსაც ადანაშაულებს და ამბობენ, რომ პრობლემის მოსაგვარებლად მათთან კონტაქტი ზურაბიშვილს არა აქვს.

საბავშვო ბაღი მიმდინარე წლის 1 ივლისიდან აღარ მუშაობს.

სენაკში წყალმომარაგება გაუმჯობესდება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ და მუნიციპალური განვითარების ფონდმა სენაკში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტი დაიწყო.

მიმდინარე სამუშაოები გაერთიანებული წყალმომარგების კომპანიის დირექტორმა ნიკოლოზ ქიზიყურაშვილმა დაათვალიერა და ობიექტზე დასაქმებულ პირებს გაესაუბრა.

პროექტი ითვალისწინებს წყლის ახალი რეზერვუარის მშენებლობას, გამანაწილებელი ქსელის მშენებლობა-რეაბილიტაციას და მაგისტრალური მილსადენის რეკონსტრუქციას. აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ, მნიშვნელოვნად შემცირდება წყლის დანაკარგები და გაუმჯობესდება, როგორც წყლის ხარისხი, ასევე წყლის მიწოდების გრაფიკი. პროექტის ფარგლებში 150 ადამიანი დასაქმდება.სენაკის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები ევროპის საინვესტიციო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს. პროექტი, რომლის ღირებულება 6 მილიონ ლარზე მეტია, 2016 წლის ბოლოს დასრულდება.

ინტერპრესი

◎ ვითარება

ნატო „დათვს“ აფრთხილებს?

დახურული სამხედრო ბაზის გახსნა – პრევენცია თუ ომისთვის მზადება?

აშშ გერმანიის ქალაქ მანგეიმში დაკონსერვებული სამხედრო ბაზის აღდგენას იწყებს. ევროპაში აშშ-ის სახმელეთო ჯარების სარდალი ბენ ჰოჯესი აცხადებს, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი რუსეთის ამჟამინდელი აგრესიული პოლიტიკაა. ამ დროისთვის საუბარია დროებით გადაწყვეტილებაზე, რადგან მომავალში ამ ბაზაზე არსებული შეიარაღება შეინახება ბალტიის ქვეყნებში, პოლონეთში, უნგრეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში. როგორც ცნობილია, ადრე გერმანიის აღნიშნულ ბაზაზე განთავსდა ათასზე მეტი სატრანსპორტო საშუალება და სამხედრო ტექნიკა.

„საქართველოს ატლანტიკური საბჭოს“ აღმასრულებელი დირექტორი გიორგი მუჩაიძე for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ დახურული სამხედრო ბაზის გახსნა პირდაპირ კავშირშია ნატოს სამხედრო სტრატეგიის შესრულებასთან, რომლის მიზანია ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო გაძლიერება, ასევე მოქმედი და მომავალი პოტენციური საფრთხეების ნეიტრალიზაცია, რომელიც რუსეთის მხრიდან ნატოს წევრი ქვეყნების უსაფრთხოებას ემუქრება.

— აშშ-ის გადაწყვეტილება, აღადგინოს დაკონსერვებული სამხედრო ბაზა, ადასტურებს, რომ აშშ რუსეთის აგრესიის საპირისპიროდ კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს?

— დიახ, ნამდვილად ასეა. აშშ-ის გადაწყვეტილებაა, რომ რუსეთის აგრესიის საპირისპიროდ შესაბამისი ნაბიჯები გადადგას. ამის სურვილი ჯერ კიდევ შარშან გამოიკვეთა არა მხოლოდ ამერიკის, არამედ ნატოს მხრიდანაც, როდესაც ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება და ერთმნიშვნელოვნად გაცხადდა, რომ რუსეთი აღარ არის პარტნიორი, რომ რუსეთი არის საფრთხე და, ამის შესაბამისად, ნატო ევროპაში სამხედრო კუთხით შეცვლის თავის მიდგომას და სტრატეგიას. ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა შესაბამისი წვრთნები.

რუსეთის აგრესიული ქმედებების განხორციელების საშიშროება ძირითადად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშია, რამდენადაც ისინი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები არიან. ამიტომაც, მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ალიანსმა გადადგა კონკრეტული ნაბიჯები. ჩატარდა შესაბამისი სწავლებები, რომელთაც შესაბამისი, თავდაცვითი ხასიათი ჰქონდა; ასევე ნატოში შეიქმნა კონკრეტული ინფრასტრუქტურა, სადაც განლაგდება შესაბამისი სამხედრო აღჭურვილობა და ტექნიკა, ასევე — ქვედანაყოფები. ეს ჯერჯერობით მცირე, მაგრამ წინგადადგმული ნაბიჯია.

თავდაცვის კუთხით ნატო ამერიკასთან ერთად აგრძელებს იმ პოლიტიკას, რომელიც განამტკიცებს აღმოსავლეთ ევროპის და მთლიანად ნატოს თავდაცვისუნარიანობას, რომლის მთავარი მიზანია რუსეთის სავარაუდო აგრესიული ქმედებების წინააღმედეგ დაცულობის გაზრდა.

— ამ შემთხვევაში რატომ არის აქცენტი გაკეთებული მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე? ასეთი აგრესიული პოლიტიკა რუსეთს აქვს როგორც უკრაინასთან, ასევე საქართველოსთან მიმართებაში, რომლებიც ნატოს წევრი ქვეყნები არ არიან, მაგრამ დეკლარებული აქვთ ალიანსში გაწევრება...

— ჩვენ არ ვართ ნატოს წევრი ქვეყანა, ამიტომ განსხვავებული სახის დახმარება ხდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. იგივე, დასავლეთ უკრაინაში ამერიკა შესაბამის წვრთნებს ახორციელებს, ეხმარება უკრაინის სამხედრო ძალებს.

საქართველოში გაიხსნა ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ცენტრი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ კუთხით, რომ დააჩქარებს ჩვენს ნატოში ინტეგრაციას და აამაღლებს ჩვენს თავსებადობას ნატოს შეიარაღებულ ძალებთან, არამედ ამ ცენტრის ფარგლებში მომზადდება ჩვენი შეიარაღებული ძალები — ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე კეთდება აქცენტი. ნატო ეხმარება როგორც წევრ, ისე არაწევრ სახელმწიფოებს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში.

— ალიანსის ახალი ცენტრი გაიხსნა ლიტვაშიც, ეს ერთ-ერთია იმ ექვს ცენტრს შორის, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში, კერძოდ, ბულგარეთში, ესტონეთში, ლატვიაში, პოლონეთსა და რუმინეთში მდებარეობს. ნატოს ასეთი გაძლიერება, იგივე დახურული ბაზის აღდგენა, ქმნის თუ არა მოლოდინს, რომ ყოველივე სამხედრო აგრესიამდე შეიძლება მივიდეს?

— როდესაც რუსეთის ქმედებები გამოირჩევა მზარდი აგერსიულობით, საჭიროა შეკავების ფაქტორის გაძლიერება, რათა რუსეთი ერთმნიშვნელოვნად მიხვდეს, რომ მათი მხრიდან შესაძლო აგრესიული ქმედების შემთხვევაში, სერიოზულად გაიზრდება შანსი მათ აგრესიულ ქმედებაზე საპასუხოდ და ეს იქნება ძალიან ძლიერი პასუხი.

— ანუ, რუსეთის აგრესიული ქმედების შემთხვევაში ნატოს ექნება ადეკვატური რეაქცია? მით უფრო, ლიტვაში გახსნილი ცენტრი კრიზისის დროს ალიანსის სწრაფი რეაგირების ძალების დროულად განლაგებას შეუწყობს ხელს, მათ პრაქტიკულ და ტექნიკურ დახმარებას გაუწევს...

— ეს ბაზა იქმნება სწრაფი რეაგირების ძალებისთვის, სადაც განლაგებული იქნება შეიარაღება და ტექნიკა. იმ შემთხვევაში თუ რუსეთის აგრესიული ქმედება გავრცელდა ნატოს წევრ ქვეყნებზე, ნატო მზად იქნება ძალიან სრაფი რეაგირება მოახდინოს და ფაქტობრივად, უკვე დასაწყობებული ექნება შეიარაღებული ტექნიკაც, რომ სწრაფი რეაგირების ძალები ძალიან სწრაფად გამოეხმაურონ მოვლენებს.

— ნატოს, ისევე, როგორც აშშ-ის გადაწყვეტილება შეიძლება ერთგავარი შემაკავებელი ფაქტორი გახდეს რუსეთის აგრესიული ქმედებების?

— რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანწილად ზრდის იმის შანსს, რომ რუსები თავს შეიკავებენ აგრესიისგან. ასე იყო ცივი ომის დროსაც, როდესაც ნატო ძალიან სერიოზულ სამხედრო ძალას განალაგებდა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების საზღვრების გასწვრივ; შანსი იმისა, რომ დაუსჯელი დარჩებოდა საბჭოთა კავშირის და მისი ე.წ. მოკავშირეების მხრიდან აგრესიული ქმედებები, შემცირდა და აქედან გამომდინარე, ამ აგრესიული ქმედებების ალბათობამაც დაიკლო. რამედენადაც, შესაბამის და ძალიან ხისტ პასუხს მიიღებდნენ.

— იგივე ლოგიკა მოქმედებს ამ შემთხვევაშიც?

— რა თქმა უნდა. დახურული სამხედრო ბაზის გახსნა პირდაპირ კავშირშია ნატოს სამხედრო სტრატეგიის შესრულებასთან, რომლის მიზანია ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო გაძლიერება, ასევე, მოქმედი და მომავალი პოტენციური საფრთხეების ნეიტრალიზაცია, რომელიც რუსეთის მხრიდან ნატოს წევრი ქვეყნების უსაფრთხოებას ემუქრება. კონკრეტულად, ინფრასტრუქტურის კუთხით რომელი ბაზა გაძლიერდება და რისთვის, ამ გადაწყვეტილების მიღება ხდება ნატოს სამხედრო სტრატეგიის შესაბამისად და ამას ალიანსის წევრი ქვეყნები (28 ქვეყანა) კონსენსუსის საფუძველზე, ერთად წყვეტენ.

— თქვენ ამბობთ, რომ რუსეთის აგრესიაზე ალიანსის პასუხი იქნება ძალიან ძლიერი. შესაბამისად საინტერესოა, რამდენად უკავშირდება აშშ-ის ეს გადაწყვეტილება თურქეთის, როგორც ნატოს წევრი სახელმწიფოს ჩართვას „ისლამურ სახელმწიფოსთან“ საომარ მოქმედებაში?

— გარკვეულწილად ნატოს ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები გადადგმული აქვს. ზუსტად რომ ნატო დაეხმარა თურქეთს მისი საჰაერო სივრცის უსაფრთხოების კუთხით. ნატო ჩართულია თურქეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ასე რომ, თუკი მათი სტრატეგიის შესაბამისად მიღებული იქნება გადაწყვეტილება, შესაბამის ნაბიჯებს გადადგამენ სირიის მიმართულებითაც.

თურქეთმა რამდენჯერმე სერიოზული საჰაერო დარტყმები განახორციელა ამ მიმართულებით. საჭიროების მიხედვით შემდგომშიც გაგრძელდება მსგავსი ქმედებები.

თამთა ქარჩავა

◎ სოციუმი

საპენსიო ფონდში ბენეფიციარის ხელფასის 6 პროცენტი გადაირიცხება

საპენსიო რეფორმის მოდელს მთავრობა, სავარაუდოდ, სექტემბერში დაამტკიცებს. დაგროვებითი პენსიის რეფორმის გეგმა და კონცეფცია მინისტრთა კაბინეტს უახლოეს 2 კვირაში გადაეგზავნება. პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მთავრობა დაგროვებითი საპენსიო სისტემის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბებაზე კარგა ხანია მუშაობს. სისტემა სავალდებულო საპენსიო დაზღვევას დაეფუძნება.

„დაგროვებითი საპენსიო სისტემის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბებაზე ვმუშაობთ. საპენსიო სისტემის არსებითი რეფორმა, რომელიც ამ სისტემის დაგროვებით პრინციპზე გადასვლას ითვალისწინებს, სავალდებულო საპენსიო დაზღვევას დაეფუძნება. რეფორმის შედეგად, სისტემაში მნიშვნელოვან როლს კერძო საპენსიო ინსტიტუტები შეასრულებენ“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისივე განმარტებით, პენსიის ოდენობა მხოლოდ სადაზღვევო სტაჟისა და სადაზღვევო შენატანის ოდენობაზე იქნება დამოკიდებული. ღარიბაშვილის განცხადებით, სოციალური დახმარების პროგრამის მიზნობრიობაც გაიზრდება.

დაგროვებითი პენსიის მოდელის დანერგვას წელიწად-ნახევარი დასჭირდება. საპენსიო რეფორმების სამსახურის ხელმძღვანელის ოთარ ძიძიკაშვილის ინფორმაციით, დეტალურ პრეზენტაციას რეფორმის შესახებ სამუშაო ჯგუფი სექტემბერში გამართავს და საზოგადოებას სრულ ინფორმაციას მიაწვდის.

რაც შეეხება კაპიტალური ბაზრის ახალი ინსტრუმენტების შექმნას, ოთარ ძიძიკაშვილი აცხადებს, რომ გარდა საბანკო დეპოზიტებისა და სახელმწიფო ობლიგაციებისა, განიხილება კორპორატიული ბონდების შექმნაც. კაპიტალური ბაზრის ახალი ინსტრუმენტების ამოქმედება აუცილებელია, რადგანაც საპენსიო ფონდში აკუმულირებული სახსრები კომპანიამ შემოსავლის წყაროდ უნდა აქციოს და ინვესტირება მოახდინოს, რისი შესაძლებლობაც ახალი ინსტრუმენტის ჩამოყალიბების გარეშე ამ ეტაპზე არ არსებობს.

„კომერსანტის“ ინფორმაციით, დამატებითი დაზუსტებული დეტალები პროექტის საბოლოო ვერსიაზე არ ხმაურდება, აქამდე გავრცელებული ინფორმაციით, თვეში საპენსიო ფონდში გადარიცხული თანხა დასაქმებულის ხელფასის 6%-ზე ნაკლებს არ უნდა შეადგენდეს, სადაც

სახელმწიფო და დამსაქმებელიც თანაბრად შეიტანენ თავიანთ წვლილს. ასეთ შემთხვევაში თუ ხელფასის 2%-ს თავად პენსიის დამგროვებელი გადაიხდის, დამსაქმებელსა და სახელმწიფოს დამატებით 2%-2%-ის გადახდა დაეკისრებათ. შედეგად ყოველთვიურად საპენსიო ფონდში ბენეფიციარის ხელფასის 6% დაირიცხება.

დაგროვებითი პენსია საქართველოში ამჟამად არ არსებობს. ქვეყანაში სახელმწიფო პენსია მოქმედებს. პარალელურად მომხმარებელს დაგროვებით პენსიას სადაზღვევო კომპანიების დიდი ნაწილი სთავაზობს.

უშუალოდ ასაკით პენსიონერების პენსია კი 2015 წლის პირველი სექტემბრიდან გაიზარდა და 160 ლარს გაუტოლდა. პენსიონერები 15 სექტემბრიდან უკვე შეძლებენ გაზრდილი თანხა მიიღონ.

გაზრდილი პენსიის გამო, გაიზარდა საბიუჯეტო ხარჯიც და წლის ბოლომდე გაზრდილი პენსიებისათვის დამატებით ყოველთვიურად კიდევ 10 მლნ ლარამდე გამოიყოფა.

დღესდღეობით კი საპენსიო გასაცემლებზე, საშუალოდ, 122 მლნ ლარი იხარჯება ყოველთვიურად. მთლიანობაში, სოციალურ პროგრამებზე 2015 წელს გამოყოფილია 2 785 000 000 ლარი, 2012 წელს კი ეს ხარჯი — 1 793 900 000 ლარი იყო.

2012 წლიდან მოყოლებული პენსიის ზრდის უკვე მესამე შემთხვევაა. თავდაპირველად პენსია იმ კატეგორიას გაეზარდა, რომელიც 100 ლარს იღებდა და იგი პენსიონერთა დანარჩენი ჯგუფის მსგავსად 125 ლარს გაუტოლდა. მოგვიანებით, ეს ზღვარი ყველასთვის 150 ლარამდე გაიზარდა, ხოლო რამდენიმე დღის წინათ კი მორიგი 10-ლარიანი მატება განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ დაგროვებითი პენსიის რეფორმა უკვე რამდენიმე თვეა მუშავდება. მასში ჩართულია მსოფლიო ბანკი, ასევე აზიის განვითარების ბანკი, ეკონომიკის სამინისტრო. შექმნილია უწყებათაშორისი კომისია, სადაც თანამშრომლობენ ფინანსთა სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, ეროვნული ბანკი და ა.შ.

ბექა დანელია

„ძაღლი უალიკაპოდ უნდა გააგზავნო საქართველოში, რათა იქ აგოს პასუხი მის მიერ დაკბენილი ხალხის წინაშე“

მიხეილ სააკაშვილმა თავისი მეორე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვისთვის, ისე შეცვალა ქვეყნის ძირითადი კანონი, რომ როდესაც ის თანამდებობას დატოვებდა, ძალაუფლების უმეტესი ნაწილი ახალი პრემიერ-მინისტრის ხელში გადავიდოდა. ამის შესახებ ჯერ კიდევ 2012 წლის იანვრის ბოლოს კარნეგის ფონდის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამების უფროსი სპეციალისტი თომას დე ვაალი „ვაშინგტონ პოსტში“ წერდა.

„გასულ წელს, მაშინ, როდესაც მოახლოვდა მისი მეორე და საბოლოო ვადის ამოწურვის დრო (2013 წლის დასაწყისი), სააკაშვილმა ისევ შეცვალა ქვეყნის ძირითადი კანონი, იმის უზრუნველსაყოფად, რომ, როდესაც პრეზიდენტის თანამდებობას დატოვებს, მისი ძალაუფლების უმეტესი ნაწილი ახალ და ძლიერ პრემიერ-მინისტრს გადაეცეს. შინაც და გარეთაც ისეთი ვარაუდი გაჩნდა, რომ სააკაშვილი ცდილობს, პუტინს მიბაძოს და პრემიერ-მინისტრის პოზიცია ჩაიბაროს.სააკაშვილი პასუხს კითხვაზე, თუ რამდენად აპირებს თანამდებობის გაცვლას, თავს არიდებს“, — აღნიშნავდა კარნეგის ფონდის სპეციალისტი სტატიაში.

ამ ნაბიჯს დღესაც იმკის საქართველოს ხელისუფლება და დღემდე ვერავის გაურკვევია ვინ არის ქვეყნის პირველი პირი-პრემიერი თუ პრეზიდენტი და ვინ წარსდგება საერთაშორისო კონფერენციებზე ქვეყნის სახელით?

2012 წლის არჩევნების შემდეგ, ქვეყანაში ახალი ხელისუფლების მოსვლის და თავისი საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა, სასამართლოსთვის თავის არიდების მიზნით, ქვეყანა დატოვა და...უკრაინის ოდესის ოლქის გუბერნატორდ დაინიშნა. საქართველოში მაშინ ამაზე ბევრი ილაპარაკეს, უმცირესობა აღფრთოვანდა, უმრავლესობა აღშფოთდა, თუმცა, ამით ბევრი არაფერი შეცვლილა.

ახლა კი, რეალური შანსია იმის, რომ სააკაშვილი უკრაინის პრემიერ-მინისტრად დაინიშნოს. რამდენიმე საათის წინ უკრაინის მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უკრაინის პრეზიდენტის საიტზე 3 სექტემბერს გამოქვეყნებულმა პეტიციამ სააკაშვილის პრემიერ-მინისტრად დანიშვნის მოთხოვნით, 25 000-ს გადააჭარბა და ახლა რეგლამენტის მიხედვით, უკრაინის პრეზიდენტს სამი დღე აქვს გადაწყვეტილების მისაღებად.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს პოროშენკო და ულალატებს თუ არა თავის „თანაფრონტელ მეიდნელ“ მეგობარს არსენ იაცენიუკს, ამას ორ-სამ დღეში გავიგებთ. მანამდე კი პეტიციის გამოქვეყნებას, ოდესის ოლქის გუბერნატორსა და უკრაინის მოქმედ პრემიერ-მინისტრს შორის, ღია კამათი უძღოდა წინ. 3 სექტემბერს უკრაინის ტელეკომპანია „მე-5“ არხის ეთერში, სააკაშვილმა ღიად დაადანაშაულა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ოლიგარქებთან ურთიერთობაში, მაგალითად, სახელმწიფო ავიაციის უფროსად დენის ანტონიუკის დანიშვნა დაასახელა და აღნიშნა, რომ მილიარდერი იგორ კოლომოისკი სწორედ არსენ იაცენიუკის ხელით აკონტროლებს უკრაინის ავიაციას და მის ხელმძღანელად პრემიერს თავისი მეგობარი ანტონიუკი დაანიშვნინა. უნდა აღინიშნოს, რომ მეორე დღეს, 4 სექტემბერს, ანტონიუკი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

არსენ იაცენიუკი სააკაშვილის განცხადებას გამოეხმაურა და ის ტყუილში დაადანაშაულა. **„მე მესმის მთელი ემოციურობა. მესმის რომ მას უჭირს, მაგრამ გვიჭირს ჩვენ ყველას. აქ ყველა ერთიანი ვართ და ამიტომ ემოციები, უსაფუძვლო ბრალდებები მხოლოდ რეფორმების მოწინააღმდეგეთ აძლევს ხელს, მით უმეტეს არასასურველია ყოფილი პრეზიდენტისთვის ცრუ ბრალდება, მაგრამ მე მისი პირველი მოკავშირე ვარ“,** — განაცხადა იაცენიუკმა.

ოლიგარქი კოლომოისკი კი რუსულ პრესასთან სააკაშვილის შესახებ აგრესიულ განცხადებებს არ ერიდება. „Свободная пресса“-ს ინფორმაციით, კოლომოისკიმ სააკაშვილს „ძაღლი უალიკაპოდ“ უწოდა და განაცხადა, რომ როდესაც ძაღლი ვინმეს კბენს, სჯიან არა მას, არამედ პატრონს, სააკაშვილი კი **„უნდა გააგზავნო საქართველოში ნაღდი ანგარიშსწორებით, რათა იქ აგოს პასუხი მის მიერ დაკბენილი ხალხის წინაშე“.**

პოროშენკო იაცენიუკის და სააკაშვილის ღია დაპირისპირებას დიპლომატიურად მიუდგა და განაცხადა, რომ არ იყო საჭირო საჯაროდ მათ შორის არსებული უკმაყოფილების გამოტანა, რადგან ეს ყველაფერი რეფორმების გაძლიერებას უშლის ხელს.

ოდესის გუბერნატორი მაინც არ გაჩერდა და რამდენიმე დღეა შეუჩერებლად უკრაინის ხელისუფლებას, კერძოდ კი პრემიერს არაეფექტურ მუშაობასა და სახაზინო თანხების მითვისებაში ადანაშაულებს, რომელმაც მხოლოდ მიმდინარე წელს 100 მილიარდ გრივენს — 4.5 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

„უკვე დროა, ისინი ჩამოშორდნენ ხელისუფლებას და შესაძლებლობა მიეცეს მათ, ვისაც სურს საქმის კეთება და არ შეუშალოს ხელი იმის მიღწევაში, რაც მათ თავისი ქვეყნის მოქალაქეებისთვის სურთ“, — განაცხადა სააკაშვილმა „ფოკუსთან“ ინტერვიუში და დაამატა, რომ საჭიროა მთავრობის ყველა დონეზე „სრული გადატვირთვა“. შეკითხვაზე, სურს თუ არა მას ქვეყნის პრემიერ-მინისტრობა, სააკაშვილმა „სამჯერ უარყო“ და განაცხადა, რომ მისი აზრით უნდა დაინიშნოს ის, წესიერი ადამიანი, რომელიც ფინანსებში კარგად ერკვევა და „სრულიად დაცული იყოს ოლიგარქიული ინტერესებისგან“.

რუსული გამოცემა „Взгляд“-ის ინფორმაციით, უკრაინის ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ სააკაშვილი აუცილებლად გახდება უკრაინის პრემიერ-მინისტრი. კიევის საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის ინსტიტუტის დირექტორის, ეკონომისტ იური სოსკინის აზრით, ამას თავისი მიზეზები აქვს — „პოროშენკო და მის უკან მდგომები, ყოველთვის თამაშობენ გრძელ პარტიას — მატრიოშკას“.

„პოროშენკო უკვე ჩამოყალიბდა — მას „სახალხო ფრონტი“ აღარაფერში სჭირდება და ასევე იაცენიუკიც. პრეზიდენტს ესმის, რომ მან იაცენიუკი უნდა მოისროლოს, მაგრამ ის თვითონ თავისი ხელით არაფერს აკეთებს. მან მოილაპარაკა სააკაშვილთან, რომელსაც ყოველდღე ესიზმრება საკუთარი თავი უკრაინის პრემიერ-მინისტრად. ერთია, იყო სუროგატი სახელმწიფოს პრეზიდენტი და მეორე — ევროპის ყველაზე დიდი სახელმწიფოს პრემიერი. ეს ყველა ქართველის ოცნებაა“, — აღნიშნავს გამოცემასთან სოსკინი და იქვე დაძენს, რომ პოროშენკოს და სააკაშვილის ურთიერთობა ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდიდანაა დაწყებული და მათი ცხოვრების გარკვეული პერიოდი ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული.

„გარდა ამის, „ნარინჯისფერი რევოლუციის“ პერიოდში, ვარაუდობს ექსპერტი, სააკაშვილი და პოროშენკო ერთობლივ სქემებს ადგენდნენ, რომლებმაც საბოლოოდ, სააკაშილის ოდესის გუბერნატორად დანიშვნა გამოიწვია“, — აღნიშნავს გამოცემა.

უკრაინული გამოცემა Forbes- ის მიხედვით, **ყველაზე მდიდარ უკრაინელთა შორის ადგილები ასე გადანაწილდა — რინატ ახმეტოვი— 6.9 მილიარდი დოლარი, ვიქტორ პინჩუკი — 1. 5 მილიარდი დოლარი, მეოთხე ადგილზეა პოროშენკო-სააკაშვილის მოწინააღმდეგე იგორ კოლომოისკი — 1,4 მილიარდი დოლარით. უკრაინის პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო 750 მილიონი დოლარით მეშვიდე ადგილს იკავებს.** ამავე გამოცემის თანახმად, ყველაზე დიდი გავლენა საერთაშორისო არენაზე პინჩუკს აქვს და ხშირად აფინანსებს კლინტონის ფონდსაც.

როგორც ამბობენ, კლინტონი ხშირად საუზმობს მასთან ერთად და ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. ეკონომიურად ყველაზე გავლენიან კოლომოისკის კი აშკარად წყალი შეუდგა.

როგორ გადანაწილდება ოლიგარქთა ინტერესები, ვინ დაიცავს პოროშენკო-სააკაშვილის ინტერესებს, ეს სულ ორ დღეში გახდება ცნობილი და სულაც არ არის გამორიცხული, 25 900-კაციანი პეტიციის თანახმად, პრემიერ-მინისტრის სავარძელი, რომლის დაკავებაშიც სააკაშვილს საქართველოში ხელი შეუშალეს, უკრაინაში დაიკავოს.

ეკა ბუჩუკური

ელისაბედ მეორის მიერ ბრიტანეთის მართვის ვადის რეკორდს აღნიშნავენ ახალი მონეტის გამოშვებითა და წიგნით დედოფლის შვილიშვილის წინასიტყვაობით

17 საათსა და 30 წუთზე ლონდონის დროით ელისაბედ მეორე გახდება ყველაზე დიდი ხნით მარვის მონარქი დიდი ბრიტანეთის ისტორიაში. მოქმედი რეკორდის — 63 წელი, 7 თვე და 2 დღე — მფლობელი არის დედოფალი ვიქტორია, რომელიც ქვეყანას მართავდა 1837-დან 1901 წლამდე.

* * *

ავსტრალია ახლო აღმოსავლეთიდან 12 ათას ლტოლვილს მიიღებს და შეუერთდება ბრძოლას „ისლამურ სახელმწიფოსთან“ სირიაში

ავსტრალიის ხელისუფლებამ ასევე მიიღო გადაწყვეტილება, გაგზავნოს 44 მილიონი დოლარი ერაყსა და სირიაში საემიგრაციო კრიზისის მოსაწესრიგებლად. პრემიერ-მინისტრმა ტონი ებოტმა ხაზგასმით აღნიშნა იმის აუცილებლობა, რომ გამოვიდეს სირიის ჰუმანიტარული დახმარების ფარგლებიდან და დაიწყოს სამხედრო მოქმედებები ავსტრალიის საჰაერო ძალებით ამ ქვეყანაში.

* * *

წყაროებმა თავდაცვის სფეროში დაადასტურეს რუსეთის ფედერაციიდან სირიაში იარაღის მიწოდების გააქტიურება ამერიკის შეერთებული შტატების შიშის ფონზე

ამავე დროს პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ ნამდვილი დადასტურებანი რუსეთიდან სამხედროების მონაწილეობის შესახებ საბრძოლო მოქმედებებში სირიის ტერიტორიაზე აარა. ამ დროს ვაშინგტონი ფრთხილად ადევნებს თვალყურს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების ჩასვლას სირიაში. ბულგარეთის მიერ საჰაერო დერეფნის დახურვამ თვითმფრინავებისათვის რუსეთის ფედერაციიდან ხელი არ შეუშალა ტვირთის ჩატანას სირიის არაბეთის რესპუბლიკაში.

* * *

ლას-ვეგასში აფრენის დროს ცეცხლი გაუჩნდა თვითმფრინავს, 14 კაცი დაშავდა

თვითმხილველთა სიტყვებით, ხანძარი დაიწყო იმ დროს, როდესაც თვითმფრინავმა „ბოინგ 777“ შემოუხვია ასაფრენ ზოლზე, რათა ლონდონში გაფრენილიყო. ჯერჯერობით უცნობი მიზეზებით ლაინერს ხანძარი გაუჩნდა მარცხენა ძრავში. ეკიპაჟმა მიიღო ზომები იმისთვის, რომ არ დაეშვათ ცეცხლის შეღწევა თვითმფრინავის სალონში, და გამოაცხადა სასწრაფო ევაკუაცია.

* * *

ჰილარი კლინტონმა შეცდომად მიიჩნია კერძო საფოსტო სერვერის გამოყენება მისი სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელად მუშაობის დროს

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი ბოდიშს იხდის კერძო საფოსტო სერვერის გამოყენებისათვის. „ეს იყო შეცდომა. ვწუხვარ ამის გამო. ვკისრულობ პასუხისმგებლობას ამისათვის, — განაცხადა მან ეი ბი სი-სათვის მიცემულ ინტერვიუში, როდესაც კომენტარს უკეთებდა სკანდალს.

◎ ვერნისაჟი

„თბილისური შემოდგომა ბუძასთან“ ბოტანიკურ ბაღში

ნუგზარ ცხოვრებაშვილი, ლაღი, ალალი, თბილისელი მხატვარია. არც მივიწყებულიო, რომ იტყვიან და არც გალაღებული პერსონალური გამოფენებით. თავისებურია, ფიქრიანი, ლამაზყალმიანი. სტილი? სტილიც თავისი ცხოვრებიდან გამომდინარე აქვს. ხელოვნებათმცოდნეები ასეთ მხატვრებზე იტყვიან – სტილის ძიებაშიაო. კრიტიკოსები რაღაცას დაუწუნებენ, უფრო მეტს მოუწონებენ. თავად? თავად, მანამ არ მიუჩენს კედელზე ადგილს ნახატს, სანამ ბოლომდე არ ამოწურავს საფიქრალ-გადმოსაცემს. ფორიაქი სულის პატრონია. ავტორიტეტებს არაფრად დაგიდევთ არა მარტო მხატვრობაში, არამედ ცხოვრებაშიც. მეგობრებს, სულის თანაზიარებს ეძებს, რათა ყველაზე დიდს დაუახლოვდეს ცხოვრებაში. მისთვის კი ყველაზე „დიდი“ სიყვარული და სილამაზეა. **„სიყვარული და სილამაზე დაგაახლოვებს უფალთან, რადგან უფალია თავად სიყვარული და სილამაზეო“,** – უყვარს თქმა და თავისი ხელოვნებითა და სამეგობროთი მიუყვება იმ არც თუ იოლ გზას ჭეშმარიტებისაკენ.

ერთი დღე თბილისურ ოაზისში

სიმბოლურიც იყო, საქართველო ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში მოწყობილი გამოფენა, რომლის მოსაწყობადაც მეგობრების დაჟინებული თხოვნით გადადგა მოკრძალებული ნაბიჯი და ორმოციოდე ახალი ნამუშევარი ამავე ბაღის დირექტორის, ხელოვნებაზე უსაზღვროდ შეყვარებული ქალბატონისა და თავადაც შესანიშნავი მხატვრის **ნინო გოცაძის** ხელშეწყობით გამოფინა. ნუგზარ ცხოვრებაშვილს, მხოლოდ ჩინოვნიკები თუ იცნობენ სახელითა და გვარით, სამეგობროში, თბილისსა და ხელოვანთა წრეში ყველასთვის **„ბუძაა“.** უბრალოდ „ბუძა“, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება, ნაადრევად გარდაცვლილი შესანიშნავი მხატვრის, თავისი უფროსი ძმის თემოს მსგავსად არღვევდა და არღვევს ყოველგვარ ტრადიციებსა და „იზმებს“.

მისი შემოქმედება ლაღია – კუბიზმი, იმპრესიონიზმი, აბსტრაქცია, პორტრეტი, ნატურმორტი, პეიზაჟი – ყველა მიმდინარეობა და სტილი ხელეწიფება და ამიტომაცაა თავისებური, ყველასაგან განსხვავებული.

„მიჭირს სიარული, მაგრამ მეგობრების დახმარებით მაინც მსურს, პატივი ვცე ნიჭსა და პროფესიონალიზმს. აქ ამიტომაც მოვედი, ჩემს ხელში გაზრდილ-დავაუკაცებული უმცროსი მეგობარი არ დავაღალატე და არც შევმცდარვარ, კიდევ ერთხელ დავტკბი ჭეშმარიტი ხელოვნების ხილვითო“ – ამას ჩვენი სახალხო პოეტი **ჯანსუღ ჩარკვიანი** იტყვის, რომელიც ძველთბილისურ ვიწრო შუკებს, ამ ბოლო დროს განუყრელი ხელჯოხით ამოუყვება. სანამ საგამოფენო დარბაზს მოივლის, მანამდე ნარიყალას ახედავს, ძველ თბილისს გადახედავს და კიდევ ერთხელ დამუხტული დედათბილისის სიყვარულით კარგა ხანს აზომ-აწონის ბუძას ნახატებს.

„სხვა დროში მომიწია მოღვაწეობა. ჩემი მეგობრები ჯიბსონ ხუნდაძე, ედმუნდ კალანდაძე, ზურაბ ნიჟარაძე, შურა ბანძელაძე, ავთო ვარაზი, თემო გოცაძე თავის დროზე იჩაგრებოდნენ თამამი, იმ დროისათვის მიუღებელი სტილის გამო. არადა რამხელა სილამაზეა. აბსტრაქციას ჩაფიქრება, გააზრება, ფილოსოფიური ხედვა უნდა. ჩემი ბუძა ამითაც განსხვავდება სხვებისაგან, რომ ყველა ადვილად ხვდება მის კომპოზიციას, მის ჩანაფიქრს. ალბათ ასე კარგად რომ ვიცნობთ მხატვარს, მისი ნახატების აღქმას ესეც გვიადვილებსო“ – კმაყოფილებას ვერ მალავს, საქართველოს დამსახურებული მხატვარი **ალექსანდრე (შურა) ციხელაშვილი.** ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, დიზაინერის, **გიორგი ჯანბერიძისა** და ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, ფიზიკოს **გიორგი ცერცვაძისთვის** ნაცნობი და ახლობელია ბუძას შემოქმედება. ისინი მხატვრის სიყრმის მეგობრები არიან და მხოლოდ იმით არიან გაოცებულნი – როდის ასწრებს ამდენს მათი მეგობარი. ყველა ტილო თითქმის ბოლო თვეებშია შექმნილი.

ბოტანიკური ბაღის უამრავი დამთვალიერებელიც შემოდის დარბაზში. უცხოელი ტურისტები ყურადღებით ეცნობიან თითოეულ ნამუშევარს, შემდეგ სურათებს იღებენ, შთაბეჭდილებათა წიგნშიც ჩნდება სხვადასხვა ენაზე, რა თქმა უნდა, მოწონების გამომხატველი სტრიქონები.

ახალგაზრდა ფოტოხელოვანი **სოფო ხუნდაძე** წამით არ ჩერდება – ისტორიას სურს, შემოუნახოს არა მარტო მხატვრის ნამუშევრები, არამედ მოწვეულ სტუმართა კმაყოფილი სახეებიც.

გამოფენა კიდევ რამდენიმე დღეს გასტანს.

ასე რომ **„თბილისური შემოდგომა ბუძასთან“** ბოტანიკურ ბაღში კიდევ ბევრს მოჰგვრის ჭეშმარიტი ხელოვნების ხილვით მიღებულ სიხარულს.

მამუკა ვაშაკიძე,
სოფო ხუნდაძის ფოტოები.

P.S. რაოდენ დასანანია, რომ მოწვევისდა მიუხედავად ქალაქის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა ხუთიოდე წუთი ვერ გამონახეს ამ შესანიშნავი ვერნისაჟის მოსანახულებლად. სამაგიეროდ შესაძლებლობა ექნებათ ტელეკომპანია „იმედის“, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებისა“ და „რუსთავი 2-ის“ ეთერში ერთი წუთით მაინც შეავლონ თვალი ქართველი მხატვრისა და მისი შემოქმედებით მოხიბლული თბილისელებისა თუ დედაქალაქის სტუმრების სიხარულს.

მ.ვ.

◎ ალიან-ჩალიანი

„ჩემი თბილისობა“

კონკურსი „თბილისობის“ დღესასწაულის საუკეთესო კონცეფციის გამოსავლენად დასრულდა. კონკურსის გამარჯვებულები თბილისის მერმა დააჯილდოვა. კონკურსში, 8 ხმით, ნინო ლელაშვილის კონცეფციამ გაიმარჯვა. მეორე ადგილზე, 4 ხმით, „სტუდია 123-ის“, ხოლო მესამე ადგილზე, 3 ხმით, პაატა ციკოლიას პროექტი გავიდა. საუკეთესო კონცეფციის ავტორს 14 000 ლარი, მეორე ადგილის მფლობელს – 9 000 ლარი, ხოლო მესამე ადგილზე გასულს - 7 000 ლარი გადაეცემა.

დაჯილდოების ცერემონიალს დედაქალაქის მერი, მთავრობის წევრები და გამარჯვებული კონცეფციების ავტორები დაესწრნენ. დედაქალაქის მერის დავით ნარმანიას თქმით, წელს კონკურსში საინტერესო მრავალფეროვანი იდეა შემოვიდა, აქედან საუკეთესოები იქნა შერჩეული კომისიის წევრების მიერ. დავით ნარმანიამ ასევე განაცხადა, რომ თბილისობა სახალხო დღესასწაულია და ძალიან მნიშვნელოვანია ამ ღონისძიების დაგეგმვისას საზოგადოების მაღალი ჩართულობა.

კონკურსის გამარჯვებულის ნინო ლელაშვილის თქმით, კონცეფციაზე კონკრეტული ჯგუფი მუშაობდა რომელთათვისაც მნიშვნელოვანია, რომ მათი იდეები ღონისძიების დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნას. კონკურსი „ჩემი თბილისობა“ 5 აგვისტოს გამოცხადდა. დაინტერესებულ პირებს განაცხადების შეტანა ქალაქ თბილისის მერიაში 18 აგვისტოს ჩათვლით შეეძლოთ. თბილისის მერიის ინფორმაციით, წელს „თბილისობა“ 17-18 ოქტომბერს გაიმართება.

ალექსანდრე ქართველის კვირეული

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქართველი ავიაკონსტრუქტორის ალექსანდრე ქართველისადმი მიძღვნილი კვირეული გაიხსნა. კვირეულის გახსნას თავდაცვის უწყების, თბილისის მერიის და მთავრობის წარმომადგენლები დაესწრნენ. ღონისძიებაზე ასევე იმყოფებოდა თავდაცვის ყოფილი მინისტრი, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია.

„ალექსანდრე ქართველი არის სამი რამის სიმბოლო. ერთი მხრივ, ქართული ინტელექტის ანუ მეცნიერული მიღწევების. მეორე მხრივ, ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის, ვინაიდან ის ამერიკელიცაა და ქართველიც და მესამე მხრივ, ქართველი ემიგრანტის, რომელიც არ დანებდა ბედს და უცხოეთში უზარმაზარ წარმატებას მიაღწია. ჩვენ წელსაც აღვნიშნავთ ალექსანდრე ქართველის კვირეულს. ასევე რამდენიმე დაწესებულებას დავარქმევთ მის სახელს. ჩვენ უნდა გვახსოვდეს ეს ადამიანი, ვინაიდან ის ქართველი ერის ძალიან ძვირფას მემკვიდრეობას წარმოადგენს“, — განუცხადა ჟურნალისტებს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა დოლიძემ. კვირეული ეროვნულ ბიბლიოთეკაში 19 სექტემბრამდე გაგრძელდება.

ფოტოკონკურსი „ჩემი საქართველო“ ტურიზმის პოპულარიზაციას ეწევა

პროექტ „გაიცანი საქართველოს“ ფარგლებში ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე ფოტოკონკურსის „ჩემი საქართველოს“ გამარჯვებულები დააჯილდოვეს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, გიორგი ჩოგოვაძემ კონკურსში გამარჯვებულებს პრიზები გადასცა.

მათივე ინფორმციით, საუკეთესო კონკურსანტებს შემდეგი პაკეტები გადაეცათ: ტურისტული სააგენტო cultur.ge-სგან ორდღიანი ტური სამეგრელოში და kt,..georgia.com-ისგან 4 ადამიანზე გათვლილი 2-საათიანი OFF ROAD ექსკურსია რუსთავის ავტოდრომიდან კუმისის ტბის მიმართულებით.

კონკურსის მიზანი საქართველოს ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა და შიდა ტურიზმის პოპულარიზაციაა. ფოტოკონკურსში „ჩემი საქართველო“ გამარჯვებულები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით გამოვლინდნენ. ხალხის სიმპათია დაიმსახურა ლევან ჯობავამ. ადმინისტრაციის რჩეული კი დავით ჯაფარიძე გახდა.

ტექნიკური სარეზის გამოსწორება

2015 წლის 9 სექტემბრის №168(7813)-ში გამოქვეყნებულ განცხადებასთან დაკავშირებით: განცხადების მესამე და მეოთხე აბზაცები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საზოგადოების წარმომადგენლებს, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (გზშ, ტექ. და არატექნიკური რეზიუმე) გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე: ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ.№7 (საწარმოს იურიდიული მისამართი)“ და „წერილობითი შენიშვნები და კომენტარები შეგიძლიათ, მიაწოდოთ შპს „ბორანს“, 2015 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით, მისამართზე: ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ.№7“

◎ ბნელა?!

ვის სჭირდება ასეთი დითირამბები?

მაკედონიასთან ყოფნა-არყოფნის მატჩამდე საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გენერალური რეპეტიცია ევრობასკეტის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტ საბერძნეთთან გამართა და ზედიზედ მესამე შეხვედრა წააგო – 68:79 (22:50).

ასეთი შედეგი, ბუნებრივია, არავის გაჰკვირვებია. თამაში ტელევიზიით რომ არ გვენახა, ის უფრო გაგვაოცებდა, ასეთი საპატიო სხვაობით როგორ დავთმეთ უთანასწორო ბრძოლა. ჰოდა, თქვენის ნებართვით, აქვე ვხსნით ფრჩხილებს და სამადლობელ სტრიქონებს ვუძღვნით მეტოქეს, რომელმაც საკუთარი მრისხანება მხოლოდ პირველ ნახევარში გამოამჟღავნა, შესვენების შემდეგ კი თავს ნახევარი ძალით ბურთაობის უფლება მისცა და ტაბლოზე კოსმეტიკური რემონტის ჩატარების საშუალება მოგვცა. რას ვიზამთ, ელადელი ვარსკვლავებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან. დავივჯეროთ, ამას ვერ ამჩნევდნენ ჩვენი ძვირფასი კოლეგა-კომენტატორები, მატჩის მესამე მეოთხედი თანამედროვე ქართული კალათბურთის ისტორიაში საუკეთესო პერიოდად რომ შემოგვასაღეს? შორს რომ არ წავიდეთ, მაშინ როგორღა შევაფასოთ ახლახან ნბა-ს სოლისტებით გაძეძგილ იტალიელებთან ბრწყინვალედ გადატანილი არათუ დროის გარკვეული მონაკვეთი, არამედ მთლიანად დუელი. დიახ, სწორედ იმ „სკუადრა აძურასთან“, რომელმაც იმავე საღამოს ძლევამოსილად დაასრულა დღის ცენტრალური ჯახი მასზე არანაკლებ ამბიციურ ესპანეთთან – 105:98.

ასე რომ, მოდით, ნუ გავუწევთ დათვურ სამსახურს ჩვენს ბიჭებს – მათ ხომ პრობლემები ისედაც არ აკლიათ?!

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭიდაობა

გობაძე მსოფლიო პოდიუმზე ავიდა

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ლას ვეგასში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი მედალი მოიპოვა. 59, 71, 80 და 130 კილოგრამ წონით კატეგორიებში საპრიზო სამეულები გუშინ გამთენიისას შეივსო და 80 კილოგრამში პოდიუმზე ლაშა გობაძეც ავიდა.

ძირითად ბადეში მან ბერძენი ნიკოლაოს ვარკასი (11:0), სერბი პეტარ ბალო (8:2) და რუსეთის ნაკრების წევრი ევგენი სალეევი (4:0) ჩამოიშორა გზიდან. ნახევარფინალში კი მომავალ ჩემპიონთან – თურქ სელჩუკ ჩებისთან 2:4 წააგო და „ბრინჯაოს ფინალში“ გადაერთო, სადაც ყირგიზ სამატ შირდაკოვს 8:0 სძლია.

ოლიმპიურ პროგრამაში ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობის რვავე წონითი კატეგორია რომ შედიოდეს, ლაშა გობაძე რიო დე ჟანეიროს 2016 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიასაც მოიპოვებდა, მაგრამ 71 და 80 კილოგრამის მოჭიდავეებისთვის ოლიმპიური პერსპექტივა არ არსებობს.

71 კილოგრამში საქართველოს სახელით ხალიჩაზე გოგა აფრიამაშვილი გავიდა და პირველსავე წრეში 2:3 დამარცხდა შვედ კნუტ ზაკარიას ტალროტთან. საწყისი ეტაპიდანვე გამოეთიშნენ შეჯიბრებას საქართველოს ნაკრების უმსუბუქესი და უმძიმესი წევრებიც მურად მიქელაძე (59 კგ) და იაკობ ქაჯაია (130 კგ).

მიქელაძე მეთექვსმეტედფინალში ხორვატ ივან ლიზატოვიჩთან 2:4 შეფერხდა, ქაჯაია კი მსოფლიო პირველობას ესტონელ ჰეიკი ნაბისთან მინიმალური ანგარიშით წაგებით გამოეთიშა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ პერსპექტივა

ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი ფიფას პრეზიდენტობას აპირებს

ჟადრაკის საერთაშორისო ფედერაციის – ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი (რუსეთი) ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის – ფიფას პრეზიდენტობას აპირებს.

როგორც საჭადრაკო საიტი „ჩესს ნიუსი“ იტყობინება, ამის შესახებ განცხადება საამიროების ქალაქ აბუ-დაბიში მიმდინარე ფიდეს რიგით 86-ე კონგრესზე ფიდეს ვიცე-პრეზიდენტმა ანდრეი ფილატოვმა გააკეთა, რომელიც პარალელურად რუსეთის ჭადრაკის ფედერაციას ხელმძღვანელობს.

ბადრი იაშვილი

◎ ვითარება

ლევან მჭედლიძის მდგომარეობა გაურკვეველია

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი ლევან მჭედლიძე კუნთის გაწყვეტას გადაურჩა. 25 წლის ფორვარდის ტრავმის ხარისხი ჯერჯერობით დაუდგენელია, თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, იგი 3-4 კვირას მაინც გამოტოვებს. „ემპოლის“ შემტევი გუშინ იტალიაში ჩაფრინდა, სადაც სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ცნობილი გახდება, თუ როდემდე იუქმებს.

შეგახსენებთ, მჭედლიძე ირლანდიასთან, ევრო – 2016-ის შესარჩევი მატჩის 82-ე წუთზე უწყინარ სიტუაციაში დაშავდა და თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

სერენამ უფროს დას მოუგო

გუშინ გამთენიისას ამერიკის ღია პირველობის კორტებზე ორი მეოთხედფინალური მატჩი გაიმართა.

სერენა უილიამმა თავის უფროს დას ვენუს უილიამსს სამ სეტში 6:2, 1:6, 6:3 მოუგო. შეხვედრა საათსა და 41 წუთს გაგრძელდა. სერენას 12 ეისი და 5 ორმაგი შეცდომა ჰქონდა, ვენუსს – 8 ეისი და ერთი ორმაგი შეცდომა. სერენა ურთიერთშეხვედრებში ვენუსს 16:11 სჯაბნის. უმცროსი უილიამსი ნახევარფინალში იტალიელ რობერტა ვინჩის დაუპირისპირდება, რომელსაც ურთიერთშეხვედრებში 5:0 ამარცხებს.

მსოფლიოს ნომერ პირველმა ჩოგბურთელმა სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა ფელისიანო ლოპესის წინაღობა 4 სეტში 6:1, 3:6, 6:3, 7:6 დასძლია. შეხვედრა 2 საათსა და 41 წუთს გაგრძელდა. ნოლემ 9 ეისი ჩააწოდა და არც ერთი ორმაგი შეცდომა არ დაუშვია, ხოლო ლოპესს 14 ეისი და 6 ორმაგი შეცდომა ჰქონდა. ნახევარფინალში ნოვაკი US OPEN-ის მოქმედ ჩემპიონს მარინ ჩილიჩს დაუპირისპირდება.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

როსალინი - ირლანდიის მშვენება

მაშინ, როდესაც ირლანდიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრები საქართველოს გუნდს ამარცხებდა, იქაური ტოპ-მოდელი როსალინ ლიპსეტი ალბათ სამყურას ფოთლებით დამშვენებული დროშაშემოხვეული იჯდა და ნერვიულობდა, რადგან ვის ვის და მას ნამდვილად გული შესტკივა სამშობლოს ეროვნულ ნაკრებზე.

როგორც ჟამთააღმწერელი გვამცნობს, როსალინ ლიპსეტს ფეხბურთი ჯერ კიდევ მაშინ შეუყვარდა, როდესაც მისი მამა დერეკ ლიპსეტი ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელი იყო, ირლანდიის ერთ-ერთ ბეჩავ გუნდში აგორებდა ბურთს და ოფლის ღვარად ჩამოსვლის მიუხედავად, დიდი წარმატებისათვის მაინც არ მიუღწევია.

გამოხდა ხანი, როსალინი გაიზარდა, დამშვენდა, მოდელობით დაინტერესდა და ამ საქმემ ისეთი ცნობილი გახადა, დღეს ბევრი კუნძულელი გოგო რომ ოცნებობს, მაგრამ ფეხბურთისადმი ძველი სიყვარული მაინც არასოდეს დაუკარგავს და ამიტომაც ითვლება იგი ირლანდიის ნაკრების თილისმად. მეკარის, მწვრთნელისა და თავდამსხმელისა არ იყოს, თილისმასაც ბედი უნდა!

როსტომ რაჭველიშვილი

ინფორმაცია

პატრულებმა ქალი დახრჩობას გადაარჩინეს

შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში მოქალაქემ დარეკა და ოპერატორს შეატყობინა, რომ მცხეთაში იმყოფებოდა და მდინარე მტკვარში თვითმკვლელობის მიზნით გადახტომას აპირებდა. ოპერატორმა მოქალაქესთან საუბარი განაგრძო და ამშვიდებდა მას, რა დროსაც მეორე ოპერატორმა აღნიშნული შეტყობინების შესახებ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარ სამმართველოს, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს აცნობა.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 704-ე ეკიპაჟის პატრულ-ინსპექტორები — გიორგი ხაბალაშვილი და გიორგი ლეჟავა შეტყობინების მიღებისთანავე მითითებულ ადგილზე გამოცხადდნენ. 1985 წელს დაბადებული მარინა ჭ. პოლიციელების დანახვისთანავე მდინარე მტკვარში გადახტა, რაზეც ორივე პატრულ-ინსპექტორმა ოპერატიულად მოხდინა რეაგირება და ქალბატონის საშველად მდინარეში გადახტნენ. პატრულებმა წყლიდან ამოიყვანეს უგონო მდგომარეობაში მყოფი ქალბატონი, რომელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ მცხეთაში, საავადმყოფოში გადაიყვანა.

მარინა ჭ-ს საავადმყოფოში მიყვანისთანავე გაეწია გადაუდებელი დახმარება. ამ დროისთვის მის ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება.

დიდი რაოდენობით ნარკოტიკი შემოჰქონდათ

შს სამინისტროს ინფორმაციით, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, კოლუმბიის რესპუბლიკის მოქალაქე, 1971 წელს დაბადებული დელია ქსიომარა რ. და ბრაზილიის ფედერაციის მოქალაქე, 1983 წელს დაბადებული პრისილა სილვა ლ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა სან-პაულოდან დუბაის გავლით, დუბაი-თბილისის რეისით საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება კოკაინი შემოიტანეს. სამართალდამცველებმა დელია ქსიომარა რ-ს პირადი ჩხრეკისას 1 კილო და 0,75 გრამი თხევადი კოკაინი, ხოლო პრისილა სილვა ლ-ს პირადი ჩხრეკისას 1 კილო და 220,37 გრამი კოკაინის ფხვნილი ამოიღეს.

ეპიტაფია

მუდამ ახსოვდა, რომ იყო ადამიანი...

რეზო ფაჩულიას ხსოვნას

ქართველ ინტელიგენციას გამოაკლდა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერ-ეკონომისტი, პუბლიცისტი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი **რეზო ფაჩულია**.

დაიბადა 1934 წელს სენაკის რაონის სოფელ ხორშში, წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტი და ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა, ინგლისში (ლონდონი) გაიარა გრძელვადიანი კვალიფიკაციის ამაღლების კურსები.

რეზო ფაჩულია სხვადასხვა დროს მუშაობდა მეურნეობის ეკონომისტად, ფაბრიკის საგეგმო განყოფილების გამგედ, რაიაღრიცხვის ინსპექტორად, სენაკის რაისაბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ, საფინანსო განყოფილების გამგედ, კომკავშირისა და პარტიის რაიკომის მეორე მდივნად, საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოს უფროსად, სს „საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის“ გენერალურ დირექტორად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფულად-საკრედიტო და დაზღვევის პრობლემების განყოფილების გამგედ, კითხულობდა ლექციებს თბილისის საფინანსო-იურიდიულ აკადემიაში. იყო ფინანსთა სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი. საქართველოსა და უცხოეთში გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი დაზღვევისა და სოფლის მეურნეობის აქტუალურ პრობლემებზე, ხოლო, ქვეყნის მნიშვნელოვან ეროვნულ, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე — 100-ზე მეტი პუბლიცისტური წერილი.

რეზო ფაჩულია დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით, სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით, ბიზნესისა და ადმინისტრაციის ლიდერთა საერთაშორისო აკადემიის ოქროს მედლით „დაზღვევის პროფესიონალი“ (აშშ), სადაზღვევო საქმიანობაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისა და დსთ-ს ქვეყნების მზღვეველებთან საქმიანი თანამშრომლობის განვითარებისათვის დიპლომითა და „დიდი მედლით“.

რეზო ფაჩულიას სახელი შეტანილია „გამორჩეულ ლიდერთა საერთაშორისო დირექტორატის ცნობარში“ (აშშ), იყო ქალაქ სენაკისა და აბრაამ ლინკოლნის მიწის (ილინოისის შტატი, აშშ) საპატიო მოქალაქე. მონაწილეობდა დაზღვევის პრობლემების შესახებ მრავალ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში, იყო დაზღვევის პრობლემებზე დსთ-ს ქვეყნების პირველი მოწვევის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი და აღნიშნულ კონგრესზე დაჯილდოვდა საპატიო სიგელით.

წავიდა ჩვენგან საქვეყნოდ აღიარებული საზოგადო მოღვაწე, მრავალმხრივ განათლებული, ფართოდ ერუდირებული, ინტელიგენტურობითა და აკადემიური დახვეწილობით გამორჩეული, დინჯი და ბრძენი, სანიმუშო პედაგოგი და მწიგნობარი, ყველასათვის საყვარელი და თბილი ადამიანი. იგი დააკლდა სრულიად საქართველოს.თანავუგრძნობთ და ვუსამძიმრებთ ბატონი რეზოს ოჯახსა და ახლობლებს. ნათელში ამყოფოს მისი სული უფალმა.

მეგობრები

ხსოვნა

ბრწყინვალე ინტელიგენტი გერმანე ფაცაცია

დღეს ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველი საზოგადოების კოჰორტას გამოაკლდა მისი მშვენება, ვალმოხდილი მამულიშვილი, რაფინირებული და ბრწყინვალე ინტელიგენტი **გერმანე ფაცაცია**.

საქართველო ვაჟკაცებისა და რაინდების ქვეყანაა. თუმცა, ამ გაუსაძლის და საზოგადოებრივი ინფლაციის პირობებში ბევრჯერ მიფიქრია: „ვის შეიძლება ვაჟკაცი ეწოდოს“... და ძალიან დიდი სინანული გამომითქვამს იმის გამო, რომ დღეს ჩვენში ვაჟკაცი, მართლაც სანთლით საძებნელია. თუმცა, როცა წარმოვიდგენდი ბატონ გერმანეს, იმწამსვე უიმედობა და სევდა გამიქრებოდა, რადგან იგი ჭეშმარიტად დიდი ვაჟკაცი და ბუნებით კარგი ქართველი იყო.

ბატონი გერმანე ყოველთვის შნოსა და ლაზათს მატებდა ჩვენს მეგობრობას, საერთო შეხვედებს. მასთან ეს შეხვედრები მუდამ საზეიმო ვითარებაში იმართებოდა. მას არც ერთი დღე არ უცხოვრია მშობელი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულის გარეშე. აფხაზეთის ტრაგედია მისთვის მართლა ყველაზე დიდი ტკივილი იყო... ამ ტკივილმა კიდევ დააჩქარა მისი გარდაცვალება. ბატონი გერმანე აღიარებული საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ეროვნული კაცი, პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი, მეცნიერი, მოაზროვნე, პოეტი, ორატორი და ქველმოქმედი გახლდათ. მისმა გარდაცვალებამ დაამწუხრა სრულიად საქართველო. იგი იყო დიდი ეროვნული გენის მატარებელი, სპეტაკი და პატრიოტი ქართველი. მისი პოეტური მარგალიტები აფხაზი და ქართველი ხალხის ავბედითი დიდი ტკივილის გამოძახილია. ბევრჯერ უთქვამს გულისტკივილით, უაფხაზეთოდ საქართველო სამოთხე და ედემი ვერ იქნებაო. საქართველოს გამთლიანება გადაუდებელ აუცილებლობად მიაჩნდა. იგი აფხაზი და ქართველი ხალხების ერთიანობის ჭეშმარიტ სიმბოლოს წარმოადგენდა. კატეგორიულად ვერ ურიგდებოდა იმ შუღლსა და მტრობას, რაც ქვეყანაში არსებობდა...

ბატონი გერმანე უნივერსალური კაცი იყო. ახოვანება და სილამაზე, ბევრ სხვა თვისებასთან ერთად მისთვის ბუნებით მომადლებული იყო. ცნობილია, რომ იგი ზედმიწევნით კარგად ფლობდა უნიკალურ ადამიანურ თვისებებს.

მისთვის ადამიანობა ყველაზე დიდ თანამდებობას წარმოადგენდა. ამიტომაც იგი სიამაყით დააბიჯებდა ამ დალოცვილ მიწაზე და გაბედულად ყველას გასაგონად ხმამაღლა ამბობდა: „დიახ, მე ქართველი ვარ და არავინ სხვა...“

ბედნიერების მრავალგვარი განსაზღვრა არსებობს, მაგრამ არა მგონია იმაზე უფრო დიდი ბედნიერება რამე იყოს, რაც შენი ხალხის უანგარო სიყვარულია. ბატონი გერმანე თავისი ხალხის ამ სიყვარულს არა მარტო გრძნობდა, არამედ ეთაყვანებოდა კიდეც. ამიტომაც იგი უკვდავია.

და ბოლოს, როგორც პოეტს, მის სამარადისო ხსოვნას, მინდა ლექსით შევეხმიანო:

კაცი, რომელიც ქალაქს დააკლდა,
ახლაც თბილისის ქუჩებში დადის,
ვინც გაუღიმებს, ყველა ლამაზმანს,
ფიროსმანივით ყვავილებს აწვდის.
ახლაც მესმის მისი სუნთქვა,
მისი ლექსი ცხოველი,
მის კაცობას ვერ ელევა,
ჩვენი სვეტიცხოველი...
უმისოდ გული მკვდარია,
მზესავით სანატრელია,
აქ მის საფლავთან მთვარეც კი,
დამწუხრებული ქალია...

გულთაზ ლაბარტყავა

კარიკატურისტის თვალით



ინფორმაცია

საბაგირო 10 დღით დაიკეტება

რიყის პარკისა და ნარიყალას ციხე-სიმაგრის ერთმანეთთან დამაკავშირებელი საბაგირო გზა გეგმური შემოწმების გამო, 10-დან 20 სექტემბრამდე მგზავრების მომსახურებას შეაჩერებს.

მგზავრების უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, საბაგიროს სისტემატურად უტარდება ტექნიკური დათვალიერება.

რიყის პარკისა და ნარიყალას დამაკავშირებელი საბაგირო გზა 2012 წლიდან ფუნქციონირებს და დღეში საშუალოდ 2 500 მგზავრს ემსახურება. ის საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით აშენდა და სისტემატური შემოწმება უსაფრთხოების ნორმის დასაცავად ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, მუნიციპალური ქონების მართვის, ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირებისა და სტატისტიკის სამსახური მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

აბელ ჭანტურია

და სამძიმარს უცხადებს შვილს ალეკო ჭანტურიას, მის ოჯახსა და სხვა ჭირისუფალთ.

მამიდა ქეთევან ობოლაძე, მამიდაშვილები თინათინ, ლევან ჟორდანიები ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი და ნათელი პიროვნება

მამუკა ობოლაძე

პანაშვიდი 10, 11 IX, 17 სთ. მისამართი: ქვლივიძის ქ. №25 (ყოფილი ბოჭორიძე), გამოსვენება 12 IX, 14 სთ. გაბრიელ მთავარანგელოზის ტაძრიდან, კუკია.

◎ ჯანმრთელი კვება

ფარაონების დიეტა

უამრავი ადამიანი ჭარბი წონის დასაგდებად ნაირ-ნაირ საშუალებას, მათ შორის წინაპრების გამოცდილებას მიმართავს. სავსებით ბუნებრივია, რომ გახდომის ეფექტიანი მეთოდოლოგიები ძველი სამყაროს ისეთ მაღალცივილიზებულ ქვეყანაშიც არსებობდა, როგორიცაა ეგვიპტე. ამჟამად ძველი მედიცინის ხერხებს თანამედროვე ეგვიპტელი მედიკოსები ინტენსიურად სწავლობენ. თურმე, ძველ ეგვიპტეში წონაში დასაკლებად და სიცოცხლის გასახანგრძლივებლად ლეღვს, ხახვს, ნიორს, თხის რძესა და, თქვენ წარმოიდგინეთ... ლუდსაც კი ხმარობდნენ!

ჭრილობების მოსარჩენ საცხებთან და პალმის ქერქისგან დამზადებული კბილის პასტებთან ერთად, კაიროს კლინიკებში პაციენტებს „ფარაონების რეცეპტით დიეტურ კურსსაც“ სთავაზობენ. ექვს თვეში 20-25 კილოგრამის დაკლების გარანტიით. მეცნიერთა გამოკვლევებით დადგინდა, რომ **სწორი კვების შედეგად ძველ ეგვიპტეში სხვებზე დიდ ხანს სწორედ ფარაონები და... უბრალო გლეხები ცოცხლობდნენ.** გინესის რეკორდების წიგნში ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივ მეფობად ფარაონ პიოპუს II-ის მმართველობაა შეტანილი. როგორც მიჩნეულია, იგი ქვეყნის გამგებელი 94 წლის მანძილზე (ჩ.წ.ა. 2279-2185 წ.წ.) იყო! რამზეს II დიდი ტახტზე 67 წელი იჯდა, 54 წლის მანძილზე მართავდა ქვეყანას ტუტმოს III, მენტუჰოტეპი — თითქმის ნახევარ საუკუნეს უძღვებოდა. უბრალო ხალხიც კი, მძიმე სამუშაოს მიუხედავად, ხშირად 70 წლამდე ცოცხლობდა. ამის გათვალისწინებით, მეტად გასაკვირია, რომ **ქურუმები, ძველი ეგვიპტის ყველაზე პრივილეგირებული კასტის ხალხი და უმდიდრესი ადამიანები, 45 წლის ასაკსაც კი იშვიათად აღწევდნენ.**



— ყველაფერი საკვების ხარისხზეა დამოკიდებული. ქურუმები ინფარქტებისა და სისხლძარღვთა დაცობის გამო იღუპებოდნენ, რადგან ღმერთებისადმი „მიძღვნილ“ არაჯანსაღ საკვებს იღებდნენ, — ამბობს ეგვიპტოლოგი აბუ-ჰამიდ ალ-ჰაჯიდი. — ძველ ეგვიპტეში ყველაზე მსუქან ღორებს მუდამ ავი ღმერთის სეტის საკურთხეველზე კლავდნენ, რელიგიური დღესასწაულების დროს კი ღორის ხორცის ჭამის უფლება, ტაძრის მსახურთა გარდა, სხვას არავის ჰქონდა. გარდა ამისა, მათ რაციონში შედიოდა ლორი, კვერცხი, ერბო, ცხიმიანი ტკბილეული, უამრავი მსგავსი საჭმელი. თანაც ქურუმები იმაზე მეტს ჭამდნენ, ვიდრე შეეძლოთ, რადგან ღმერთებისთვის შეწირული საკვების გადაყრა არ შეიძლებოდა, თანაც ბოსტნეულსა და ხილს პირს არ აკარებდნენ.

ფარაონები კი სხვანაირად იკვებებოდნენ: „გონების მოქნილობის“ გასავარჯიშებლად მათთვის საგანგებო დიეტებს ადგენდნენ. **როგორც წესი, სამეფო სუფრაზე მუდამ ეგვიპტეში ყველაზე ძვირიანი მოხარშული და მოთუშული ძროხის ხორცი, ახლადმოკრეფილი ლეღვი და, აუცილებლად, თაფლი იყო. ფარაონი პიოპიუსი, რომელმაც 101 წელი იცხოვრა, ყოველ ცისმარე დღეს მიირთმევდა მწვანე ხახვს, ნიორსა და დიდი ოდენობით... ლუდს. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, იმხანად ლუდი დიეტურ პროდუქტად იყო მიჩნეული და მას სამკურნალოდაც კი იყენებდნენ.**

დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინათ, მაათვის, ვინც დიეტას იცავდა, კვების უმნიშვნელოვანეს მდგენელს ლუდი წარმოადგენდა, თუმცა კი, თანამედროვესგან განსხვავებით, იმ დროს ის ვიტამინების, მინერალებისა და პროტეინების მძლავრ წყაროს წარმოადგენდა. მის წარმოებაში ქერს, სხვადასხვა მცენარეთა ფესვებსა და შროშანის თესლს იყენებდნენ.

ჯერ კიდევ ჩ.წ.ა. 2580 წელს ლუდი, სიმხნევისა და ძალის მისაცემად, მშენებელ მუშათა რაციონში შედიოდა: გიზაში ჰუფუს დიდი პირამიდის აგების დროს კაცზე დღეში არანაკლებ სამი ლიტრი(!) მოდიოდა.

ფარაონების მენიუში ასევე აუცილებლად შედიოდა ნიახური, მწვანე ცერცველა, კიტრი, ოსპი, ნესვი... ჩ.წ.ა. 1853-1806 წლებში ეგვიპტეს 47 წლის მანძილზე ქვეყნის მმართველი ფარაონი ამენემჰეტ III ყოველდღე ზეითუნის ზეთიან სალათებსა და დილა-საღამოთი ყურძენს მიირთმევდა. **თანაც ყველა უზენაესი მმართველი ფიზიკური ვარჯიშის გარდა, ბევრს დადიოდა ფეხით.**

ღარიბი ხალხი კი ძირითადად ქათმებით, მტრედებითა და მწყრებით, აგრეთვე ნილოსის თევზეულობით იკვებებოდა, რომელიც, ფარაონთათვის განკუთვნილი ზღვის თევზისგან განსხვავებით, „უქონელთა ნადავლად“ იყო მიჩნეული. ბევრს სვამდნენ თხის რძეს, თანაც, ფარაონების მსგავსად, ფეხითაც ძალიან ბევრს დადიოდნენ — დღეში, საშუალოდ, 15-20 კილომეტრს(!). ამასთან, მატიანეში შემონახულია ცნობები იმის შესახებ, რომ ძველ ეგვიპტეში გლეხები ასევე თიხის ქოთნებში მოთუშულ თაგვებსა და ზღარბებსაც ჭამდნენ, თუმცა კი, ძნელი სათქმელია, თუ რა იყო ამის მიზეზი — საკვების უკმარისობა თუ ამ ცხოველთა ხორცის მარგებლობა. მათი სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზი კი უამრავი სახეობის პარაზიტები იყვნენ, რაც აფრიკაში, მით უმეტეს ისეთ დაბინძურებული წყლის მქონე მდინარის სიახლოვეს, როგორიცაა ნილოსი, ეს ამბავი გასაკვირი ნამდვილად არ არის.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

ინფორმაცია თემაში

ფარაონ ამენემჰეტ III-ის გახდომის მენიუ

საუზმე — მწვანე ხახვის, კიტრის, ზეთმოსხმული სალათა. ნახევარი საათის შემდეგ — ჭიქა თხის რძე.

მეორე საუზმე — ხილის სალათა: ნესვი, ყურძენი, ბროწეულის მარცვლები.

სადილი — მოხარშული ძროხის ხორცი, ბოსტნეულის სალათა, ყურძენი, ნახევარ საათში — კიდევ ერთი ჭიქა რძე.

სამხარი — შემწვარი თევზი (ან მოხარშული სიმინდი ხახვითა და ნივრით).

ყველა შემთხვევაში საკვების მიღება მიზანშეწონილი იყო უპურობ — ფარაონები მას ძალიან იშვიათად ჭამდნენ.

ვულოცავთ!
მარიამ მეცხვარიშვილსა და გიორგი ხეცურიანს
პირველი შვილის
ნატალიას
დაბადებას.
ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ხანგრძლივ სიცოცხლეს.
ოთარი, მამუკა, მალხაზი, დალი, თეა, ნინო, ნაირა და პატარა საბა.

◎ მკურნალი წინდები

ფეხების ტკივილი გაწუხებთ?

თურქეთის ლიცენზირებული ფირმა „POLAT“-ი ფეხების ტკივილისგან თავის დასაღწევად უნიკალური თვისებების მქონე სპეციალურ წინდებს გთავაზობთ.

ყველა ტიპის დიაბეტის, გულის სისხლძარღვთა და კანის სხვადასხვა ინფექციით გამოწვეული ფეხის დაავადებათა მკურნალობისას საგანგებო წინდები შეუცვლელი და უებარი საშუალებაა! ასეთი წინდები

მისწრებაა იმათთვის, ვისაც ხანგრძლივი დროით ფეხზე დგომა ან გადაადგილება უწევს, აქვს კოჟრები, სოკოვანი დაავადებები, ოფლიანობა და სპეციფიკური სუნი!

წინდები ჩვეულებრივად ნელ-თბილ წყალში ირეცხება, მიზანშეწონილია მათი მთელი დღე-ღამის განმავლობაში ტარება.

შესაძენად დარეკეთ 299-62-77 (გ. ახვლედიანის 19), იკითხეთ კუკური.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ორი ებრაელი ერთმანეთს შეხვდა.

— გავიგე, რომ რუსზე დაქორწინებულხარ. მართალია?

— კი.

— ებრაელზე რად არ დაქორწინდი?

— იმიტომ, რომ ჩვენი ქალები ხშირად ავადმყოფობენ.

— რაო, რუსები არ ავადდებიან?

— რუსებიც ავადდებიან, მაგრამ ისინი ისე არ მეცოდებიან.

* * *

— რატომ დაიწყეთ ხიდის მშენებლობა მდინარის შუაგულიდან?

— რათა მშენებლობის დამთავრებამდე არ დაშალონ და არც დაიტაცონ იგი.

ყველა ქალს თავისი პატარა საიდუმლო აქვს.

მამაკაცს კი, სასურველია, დიდი ჰქონდეს.

* * *

ორმა პატარა ბიჭუნამ აბანოში უზარმაზარი ღიპიანი კაცი დაინახა.

— ბიძია, რა გიდევთ მაგ მუცელში?

— ბომბი!

— მოდი, ავაფეთქოთ, — ეუბნება ერთი ბიჭუნა მეორეს.

— არა. გაქცევას ვერ მოვასწრებთ. ძალიან მოკლე ფიტილი აქვს.

* * *

— მამი, თავს რად არ ანევებ სმას?

— იმიტომ, შვილო, რომ მამაშენი არასოდეს თავს არ ანებებს დაწყებულ საქმეს.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე